# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი ორშაბათი 15 ნოემბერი 2004 №266 (2287) ფასი 50 თეთრი

ბიბლიოთეკა



გაგი კილაძის ფოტო

# ევროკომისია შეგვამოწმებს

დანიასთან თამაში საქართველოს ნაკრებისთვის სეზონის ყველაზე დიდი ტესტია: ნამდვილ ევროპულ, კულტურულ გუნდს ახლა ხვდება.

დანია ყოველთვის არის მეტად კულტურული და ინტელექტუალურად განვითარებული გუნდი, რომელთანაც კარგიც უფრო მკვეთრად გამოჩნდება და ცუდიც.

მოკლედ, მორტენ ოლსენის გუნდი ის ერთგვარი კომისიაა, რომელიც შენს საფეხბურთო გონებას შეამოწმებს.

# დანია სწრაფად გვიახლოვდება: ვაჯობოთ ბურთით




გუშინ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს სადანიო შეკრება დაეწყო და პირველი ვარჯიშიც გამართა. ვარჯიშამდე გუნდის თავკაცმა ალენ ჟირესმა სასტუმრო „ბატესტაში“ პრესკონფერენცია მოაწყო. ჟირესს კვლავ „ადიდასი“ ეცვა და არა საქართველოს ნაკრების სამოსი „პუმა“, თუმც „ადიდასზე“ საქართველოს დროშა დაუკრავს გულთან და მარჯვენა მკლავზეც. „ამის შესახებ ჩემთვის ადრეც გიკითხავთ და თუ ეს კითხვები მომრავლდება, მალე ალბათ „ნაიკს“ ჩავიცმევ“ — იხუმრა ჟირესმა.

თან საქმე — ფრანგმა ჯერ თავად მოგვახსენა ნაკრებზე და მერე კითხვებსაც უპასუხა

— ვინც უკვე შეკრებაზეა და ვინც შაბათს ითამაშა, ყველა ჯანმრთელადაა. ფეხბურთელები ამ საღამოს და ხვალაც შემოგვიერთდებიან. ეს ხანმოკლე შეკრებაა, რაც შეიძლება მალე უნდა ჩავდგეთ მოსამზადებელ რიტმში და ფეხბურთელებმაც ძალები მალე უნდა აღიდგინონ. გარდა ამისა, მატჩისთვის მოთამაშეთა სათანადო მოტივირებაც უნდა მოვასწროთ. ერთი სიტყვით, ოთხშაბათის მატჩი ძალიან სწრაფად გვიახლოვდება.

— როდის შეუერთდებიან ნაკრებს ის ფეხბურთელები, რომლებიც ჯერ აქ არ არიან?

— გერმანიაში მოთამაშე სამი ფეხბურთელი და „პოლონელი“ მამია ჯიქია დღეს საღამოს ჩამოვლენ, რეინჯერსელები და კალაძე კი ხვალ.

— გიორგი ლომაიას ხომ არ ანდობთ კარს?

— თამაშის შანსი ყველა გამოძახებულ ფეხბურთელს აქვს, ხოლო ვინ ითამაშებს და ვინ არა, ამას ახლა ვერ გეტყვით.

— დანიასთან შინ ფრე რომ ითამაშოთ, კმაყოფილი დარჩებით?

— მოგება კარგია, მაგრამ თუ ფრე იქნება, ამაზე გული ძალიან არ უნდა დაგვწყდეს.

— დანიასთან შემტევ ფეხბურთს აირჩევთ, დიდი ძალებით შეუტევთ?

— რისკზე წავალთ თუ არა, ეს თამაშის მსვლელობაზეა დამოკიდებული. მაგალითად, უკრაინასთან მატჩის ბოლოს სამი ფორვარდით ვთამაშობდით, რადგან თამაშის მსვლელობამ ასე მოიტანა.

— დანია ისეთი გუნდია, რომელიც, ასე ვთქვათ, თამაშობს და მეტოქესაც აძლევს თამაშის საშუალებას — მეტოქისგან ახლაც ასეთ თამაშს ელით?

— დანია პრესინგს მიმართავს, მინდორზე ბურთს კარგად აგორებს, მაგრამ შეცდომებიც მოსდის, რაც უნდა გამოვიყენოთ. ბურთის ფლობაში ოსტატობა გვმართებს, რათა მოწინააღმდეგის პრესინგი გავარღვიოთ.

— შესარჩევი ციკლის პირველი ორი თამაშისგან განსხვავებით, გოჩა ჯამარაული დანიასთან აღარ გვეყოლება — ამის გამო გუნდის ტაქტიკა მნიშვნელოვნად შეიცვლება თუ ჯამარაულის მაგივრად მოთამაშე ფეხბურთელსაც იგივე ფუნქციას დააკისრებთ?

— ტაქტიკა არ შეიცვლება, მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებები იქნება და ის ფეხბურთელი, ვინც ჯამარაულს შეცვლის, ჯამარაულის ამპლუის იქნება.

*ავლაბარში, სტადიონ „ოლიმპზე“ საქართველოს ეროვნული ნაკრები 16 საათისთვის მივიდა — საქართველოში საუკეთესო მინდორი სწორედ იქაა და ნაკრები ხვალაც იქ ივარჯიშებს*

# ქართული პროგრესია: ცამეტი, ჩვიდმეტი და ოცი
## ჟირესი ბალახზეც ფიქრობს

გუშინდელი ვარჯიში თორმეტმა ფეხბურთელმა დაიწყო, მალევე შეუერთდა თანაგუნდელებს მოსკოვიდან ახალჩამოსული ოთარ ხიზანეიშვილი და ალენ ჟირესმაც ცამეტი ფეხბურთელის ვარჯიშს უხელმძღვანელა. მის განკარგულებაში ესენი იყვნენ: გიორგი ლომაია, აკაკი დევაძე, ლაშა სალუქვაძე, გიორგი შაშიაშვილი, დავით კვირკველია, გივი კვარაცხელია, ლადო ბურდული, ალეკო გოგობერიშვილი, კახა მჟავანაძე, ოთარ ხიზანეიშვილი, ლაშა ჯაკობია, გიორგი დემეტრაძე და მალხაზ ასათიანი.

ვარჯიში დახურული არ იყო, თუმც გულშემატკივრები და უბრალო ცნობისმოყვარენი კანტი-კუნტად იყვნენ. ვარჯიშის საცქერად ეროვნული ნაკრების ექსკაპიტანი კახა ცხადაძეც მოვიდა.

ჟირესი, ვინც ვარჯიშის დასაწყისში ბურთი მოხდენილად აკეწლა, წამდაუწუმ დავთარში იყურებოდა და ფეხბურთელებს დიდი ყურადღებით აკვირდებოდა. ჟირესი მინდორზეც ბევრს ფიქრობს და საფიქრალი მართლაც აქვს — ჯგუფის ფავორიტად შერაცხულ გუნდს ეთამაშება.

ფეხბურთელები მწვრთნელს დიდად არ დაუტვირთავს, თუმც მონოტონური და ოდენ მატონიზებელი ვარჯიშიც არ ყოფილა.

რახან დროის გადაწევის გამო მალე ბინდდება, ჟირესი დღეს ნახევარი საათით ადრე წაიყვანს გუნდს „ოლიმპზე“. სადღეისოდ მას უკვე ჩვიდმეტი ფეხბურთელი ეყოლება ვარჯიშზე გასაყვანი — ლევან კობიაშვილის, ლევან ცქიტიშვილის, ალექსანდრე იაშვილის და მამია ჯიქიას დამატებით. ხოლო კახა კალაძე, შოთა არველაძე და ზურაბ ხიზანიშვილი გუნდთან მხოლოდ ერთხელ, თამაშის წინა დღეს ივარჯიშებენ.

**დავით თავართქილაძე**
**ბადრი კეთილაძის ფოტოები**


ალენ ჟირესმა მალხაზ ასათიანს ჩემპიონობა მიულოცა











გიო ახვლედიანის ეროვნული ბარომეტრი

# სადანიოდ

მოახლოვდა დანია. მოახლოვდა კი არა, ჩამოვლენ დღეს და ეგ არის.

უფრო აკადემიურად რომ ვთქვათ, სწორედ ეს არის სეზონის ყველაზე დიდი ტესტი საქართველოს ნაკრებისთვის, რომელმაც კი გამოიარა ნაირგვარი სირთულის გუნდები სულ სხვადასხვა შედეგით, მაგრამ ნამდვილ ევროპულ, კულტურულ გუნდს ახლა ხვდება.

დიახაც, მე თუ მკითხავთ, თუმც დანია თურქეთივით ვერ გაიქაჩა მსოფლიოს ჩემპიონატზე და წლევანდელი ევროპის ჩემპიონატზეც სწორედ იქ გავარდა, სადაც ჩვეულებრივ ვარდება ხოლმე, მაგრამ ის ყოველთვის არის მეტად კულტურული და ინტელექტუალურად განვითარებული გუნდი. ჰოდა, სწორედ ასეთთან ჩვენების თამაშია საინტერესო.

ასეთ გუნდებთან ბევრი ისეთი რამ გამოჩნდება, რასაც თურქებთან და უკრაინელებთან არასოდეს ექნება გამოჩენის შანსი. უბრალოდ, არ არის ხოლმე საჭირო და იმიტომ. დანიისნაირ გუნდთან კი კარგიც გამოჩნდება უფრო მკვეთრად და ცუდიც. საფეხბურთო გონების სისხარტე, მაგალითად, რამდენი გაქვს? ან თუ გაქვს, ან თუ არა გაქვს?

დანია ერთგვარი კომისიაა, რომელიც შენს საფეხბურთო გონებას შეამოწმებს.

იმას კი არ ვამბობ, რომ გინდა თუ არა, მოგიგებს, მაგრამ მოგებულსაც და წაგებულსაც დაგანახებს რაღაცებს და ეს მნიშვნელოვანი რაღაცებია.

ამ ზაფხულს დანიელების ბარე სამი თამაში ვნახე მინდორზე და მათში მთავარ კაცად მაშინ იონ დალ ტომასონი იყო. საჯარიმოდან საჯარიმომდე დარბოდა ჭკუით და ოსტატობით. იმ დანიას ბევრი ნაკლი ჰქონდა შეჯიბრის დონის გათვალისწინებით, მაგრამ იმავ თავისი თითქოს თანდაყოლილი გონიერებით ამ ნაკლების დამალვას ახერხებდნენ. როგორც ჭადრაკის დაფაზე ყოველთვის ერთნაირად ვალაგებთ ხოლმე ფიგურებს, ისე დანიაც ყოველთვის ერთნაირად გამართულია ტაქტიკურად, მომზადებული ტექნიკურად და თუკი აგებს, იმიტომ, რომ მისი ფეხბურთელები ვერ გაქაჩავენ ხოლმე იმ დონეს, რომელიც იმ კონკრეტულ თამაშში მეტოქის წაქცევას სჭირდება.

ტყუილად დანია არასდროს აგებს. ის აგებს, როცა მართლა აგებს, როცა მართლა აჯობებენ.

# საჭირო საქმე

## გოჩა ჯამარაული: ჯერ მოიგე, მერე იამაყე




ბევრი გვახსოვს — ფეხბურთელი საქართველოს ნაკრებში ჩამოსვლას ტრავმის მომიზეზებით არიდებია, სანაკრებო მატჩიდან ორ დღეში კი კლუბში უთამაშია. ამ საქმეს ძირისძირამდე არავინ ჩაჰყოლია და მოდით, ამას ახლაც ნუ ჩავეძიებით, რადგან ჩვენს ნაკრებს ზეგ ძალიან პრინციპული მატჩი აქვს და თანაც ახლა საპირისპირო შემთხვევასთან გვაქვს საქმე.

გოჩა ჯამარაულზე მოგახსენებთ, ფეხბურთელზე, რომელმაც ნაკრების მწვრთნელის ალენ ჟირესის თქმით, ეროვნული გუნდისთვის საკუთარი კარიერა გაწირა.

33 წლის ჯამარაულმა ამ ორი კვირის წინ აწ უკვე ყოფილ კლუბთან დონეცკის „მეტალურგთან" კონტრაქტი გაწყვიტა და ახლა უქმადაა. არადა, ერთი შეხედვით და ასაკის გათვალისწინებითაც, გოჩასთვის „მეტალურგი" ბოლო გაჩერება იყო. ჩვენიანს დონეცკში არც პოპულარობა აკლდა, არც ავტორიტეტი, კაპიტნის სამკლავურიც მისი იყო, მაგრამ...

— სექტემბერში, ვიდრე საქართველოს ნაკრები თურქეთთან და ალბანეთთან ზედიზედ ითამაშებდა, „მეტალურგს" უკრაინის ჩემპიონატში „ვოლინთან" მატჩი ჰქონდა. მე ფეხი მტკიოდა და ეს შეხვედრა გამოვტოვე — გვითხრა გოჩა ჯამარაულმა, რომელიც ამჟამად თბილისშია და სატრანსფერო სეზონის გახსნას ელის — იმ დროისთვის უკვე თურქეთ-ალბანეთთან მატჩებისთვის ნაკრებში ვიყავი გამოძახებული. „მეტალურგმა" „ვოლინთან" უჩემოდ ითამაშა, მეორე დღეს კი ავდექი და ნაკრებში წამოვედი. ფეხი აღარ მაწუხებდა და ნაკრებისთვის მზად ვიყავი, გეხსომებათ, თურქეთშიც ვითამაშე და თბილისში, ალბანეთთანაც. დონეცკში დაბრუნებულს კი პრობლემები დამხვდა. ჩვეულ ფორმაში ვიყავი, სრულიად ჯანმრთელი, მაგრამ, ჩემდა გასაკვირად, „მეტალურგის" ძირითად შემადგენლობას ვინ ჩივის, რატომღაც 18-კაციან განაცხადშიც ვერ ვხვდებოდი. ერთხელ ვერ მოვხვდი შემადგენლობაში, მეორედ, მესამედ და, ბოლოლო, უთამაშებლობის მიზეზით დავინტერესდი. თანაც დარწმუნებული ვიყავი, წმინდა სპორტული მიზეზით სკამზე ჯდომას არ ვიმსახურებდი. როგორც იქნა, კლუბის ერთ-ერთ გავლენიან ხელმძღვანელს შევხვდი და გულახდილად დაველაპარაკე. მანაც პირდაპირ მითხრა, ნაწყენები ვართ შენზე, ნაკრებში თამაში თუ შეგეძლო, „მეტალურგში" ტრავმას რატომ იმიზეზებდიო. როცა ეს მითხრეს, დავრწმუნდი, არაპროფესიონალებთან მქონდა საქმე და არც იმის მტკიცება დამიწყია, „ვოლინთან" მატჩის წინ ნამდვილად დაშავებული რომ ვიყავი. მერე „მეტალურგს" „ლაციოსთან" ჰქონდა უეფას თასის საპასუხო მატჩი და ისევ ტრავმის გამო გუნდს რომშიც ვერ გავყევი. იქ კი მწვრთნელმა გუნდის კრება ჩაატარა და კაპიტნის სამკლავური ჩამომართვა.

**— კი მაგრამ, შენ არ თამაშობდი და გუნდს კაპიტანი ხომ სჭირდებოდა?**

— არა, ერთ კონკრეტულ მატჩზე არ ვლაპარაკობ, იქ ითქვა, ჯამარაული გუნდის კაპიტანი აღარ იქნებაო.

**— და როგორი იყო შენი რეაქცია?**

— ჩამოვიდა „მეტალურგი" რომიდან და ხელმძღვანელობამ კი[illegible] და კონტრაქტი გავწყვიტეთ. კლუბმა გათავისუფლების ფურცელი [illegible] ნორმალურად, უპრობლემოდ დავშორდით.

**— ეს ამბავი უკრაინასთან სანაკრებო მატჩამდე უკვე მომხდარი იყო?**

— ლვოვის თამაშამდე ურთიერთობა უკვე გარკვეული გვქონდა.

**— გული არ გწყდება, 33 წლის ფეხბურთელს ახალი კლუბის ძებნა რომ გჭირდება?**

— არა, რატომ უნდა ვიყო გულდაწყვეტილი. ასეთი რამ ევროპაში არ მოხდებოდა, იქ პროფესიონალები არიან და კარგად იციან, ფეხბურთელს თამაში როდის შეუძლია, როდის არა. „მეტალურგში" კი რატომღაც სხვანაირად იფიქრეს და ჩათვალეს, ჯამარაული ტრავმას იმიზეზებდაო.

**— „მეტალურგიდან" წამოხვედი და ნაკრებშიც აღარ გამოგიძახეს, არც ამაზე გწყდება გული?**

— იცით, შემეძლო „მეტალურგში" დავრჩენილიყავი, მევარჯიშა და დარწმუნებული ვარ, დანიასთან მატჩისთვის ალენ ჟირესი გამომიძახებდა, მაგრამ მე სხვანაირად ვფიქრობ — ვინც კლუბში ვერ თამაშობს, მისი ადგილი არც ნაკრებშია. ჩემს თავს კი ქვეყნის მოტყუების უფლებას ვერ მივცემდი და უთამაშებელი ნაკრებში არ ჩამოვიდოდი.

**— და ახლა ეროვნული გუნდის ქომაგობა ტრიბუნიდან მოგიწევს. შენნაირი გამოცდილი კი დღევანდელ ნაკრებში არავინაა. რას ურჩევდი დანიის წინ ბიჭებს?**

— რატომ, გამოცდილი ფეხბურთელების ნაკლებობას ეს ნაკრები არ უჩივის. ისე კი, ბიჭებს ვურჩევ, თავისუფლად ითამაშონ და დაძაბულები ნუ იქნებიან, სანერვიულო მათ არაფერი აქვთ. ნაკრების თითოეულმა ფეხბურთელმა უნდა იცოდეს, რომ დანიის დამარცხება მათ შეუძლიათ და მოგება ჩვენს ქვეყანას სჭირდება. საამაყო არაფერია, მაგრამ სამი ქულა კი საჭიროა და თუ საჭირო საქმეს გააკეთებ, მერე იამაყებ კიდეც.

**კობა ინასარიძე**

# ტყებუჩავას დირიჟორის ჯოხი მოაკლდა
## ხოჯავა არ ითამაშებს

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა სადანიო მზადება 12 ნოემბერს დაიწყო. ეროვნული ნაკრების ბაზაზე დაბინავებულმა გუნდმა გუშინ „ოლიმპიკის" სტადიონზე ივარჯიშა.






მცირედი მოთელვის შემდეგ 21-წლამდელთა თავკაცმა გოჩა ტყებუჩავამ ორად გაყოფილ 20 შეგირდს ორკარა ათამაშა. ორი გუნდიდან ერთი ტყებუჩავას ალბათ დანიასთან საძირითადოდ ეგულება: კარში თოთლაძე, დაცვაში რაქვიაშვილი, კალაძე და ელიავა, ნახევარდაცვის ფლანგებზე „ნუგზარიჩი" ჭელიძე და გეწაძე, ხოლო საყრდენად და გამთამაშებლად კანკავა და ხოჯავა, წინ მარცვალაძე-მოდებაძე.

ძირითად ათეულს მალე ერთი კაცი მოაკლდა — გოჩა ხოჯავამ საზარდული დაიზიანა და ვარჯიშს გამოეთიშა. ხვალაც თუ ვერ ვივარჯიშე, დანიასთან ველარ ვითამაშებო, გვითხრა დამწუხრებულმა „თბილისის" გამთამაშებელმა. ექიმებმა კი იმედი გადაწურეს, დიაგნოზს სამი დღის მერე დავადგენთო. მოკლედ, ტყებუჩავას ისედაც დასუსტებულ სამწყსოს კიდევ ერთი, თანაც გამორჩეული ფიგურა მოაკლდა. ძნელი სათქმელია, ვინ შეითავსებს პლეიმეიკერობას დანიასთან. შეგახსენებთ, რომ ნაკრებს საამმატჩოდ არც გოგუა, ციმაკურიძე, ლომიძე, ალადაშვილი, კაშია და გრიგალაშვილი ეყოლება ტრავმებისა და დისკვალიფიკაციის გამო. სამაგიეროდ, სალსალამთია სანდრო იაშვილი, მაგრამ 21-წლამდელთა დამრიგებელმა „თბილისის" ფორვარდს ნაკრების კარი მოულოდნელად მიუხურა.

ორკარას შემდეგ ტყებუჩავამ ფლანგურ ჩაწოდებებზე ავარჯიშა ბიჭები. მარჯვნიდან უმეტესად რაქვიაშვილი აბზრიალებდა ბურთს, მარცხნიდან კი ელიავა და გეწაძე. მერე იყო კარში დარტყმები და თოთლაძე-რევიშვილ-შეყრილაძესაც ხშირად უწევდათ აქეთ-იქით ხტომა.

ვარჯიშის მერე 21-წლამდელთა ახალწვეულს, მოსკოვის „ტორპედოს" დუბლშემადგენლობის ფორვარდ დავით ნაკანს გავესაუბრეთ...

— სამწუხაროდ, „ტორპედოს" ძირითადში იშვიათად მიწევს თამაში. ამ სეზონში შანსი არც მომცემია. თანაც ადრევე დავშავდი და ამანაც გაართულა მდგომარეობა. ახლა უკვე ნორმალურ ფორმაში ვარ.

— კლუბის გამოცვლას ხომ არ აპირებ?

— არ არის გამორიცხული. ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე წინადადება მაქვს.



— რუსული კლუბებიდან?

— რუსეთშიც მაქვს ვარიანტები, მაგრამ შეიძლება, საქართველოშიც ვითამაშო. თუმც კლუბს ჯერჯერობით ვერ დავასახელებ.

— ჩვენს ახალგაზრდულ ნაკრებზე რას იტყვი?

— კარგი ფეხბურთელები გვყავს და წესით, შედეგიც უნდა ვაჩვენოთ. დანია რომ ძლიერია, ამას ლაპარაკიც არ უნდა, მაგრამ ჩვენ მოსაგებად უნდა ვიბრძოლოთ.

**ილია ნანობაშვილი**

*მეკარეები:* ირაკლი თოთლაძე (დინამო), ბექა შეყრილაძე (თბილისი), ნუკრი რევიშვილი (ტორპედო)

*მცველები:* ანზორ კალაძე, ბესო მიქიაშვილი, ზაალ ელიავა (სამივე თბილისი), პავლე დათუნაიშვილი, დავით იმედაშვილი (ორივე ვიტ ჯორჯია), თემურ რაქვიაშვილი (ზესტაფონი)

*ნახევარმცველები:* რევაზ გეწაძე, გიორგი ნუგ. ჭელიძე, გოჩა ხოჯავა (სამივე თბილისი), მიხეილ ბესარაშვილი (ზესტაფონი), ლუკა რაზმაძე (დილა), ჯაბა კანკავა (დინამო), თეიმურაზ ბურნაძე (შერიფი, მოლდოვა)

*თავდამსხმელები:* გიორგი ნოდ. ჭელიძე (ბათუმი), დავით ნაკანი (ტორპედო, მოსკოვი, რუსეთი), ოთარ მარცვალაძე (ვიტ ჯორჯია), ირაკლი მოდებაძე (მეტალურგი, ზაპოროჟიე, უკრაინა).

# მალხაზ ასათიანი სიმბოლურად და რეალურად



შინიკთან საჩემპიონო მატჩში მალხაზ ასათიანს და მის თანაგუნდელებს მოედანზე იაროსლაველი გულშემატკივრები შეუცვივდნენ

შემოდგომაა, ერთი რუსული ანდაზისა არ იყოს, ამ ქვეყნის გასრულებულ ჩემპიონატში ახლა „წიწილების“ დათვლის დროა და ჩვენთვის სასიამოვნო ისაა, რომ მალხაზ ასათიანისა და მიხეილ აშვეთიას „ლოკომოტივი“ ჩემპიონი გახდა, თუმც მალხაზი სხვა ნომინაციებში მოხვედრითაც გამოირჩა.

კერძოდ, ჩვენებური რუსეთის ჩემპიონატის საუკეთესო ცენტრალური მცველი გახდა. ასათიანმა მისთვის პირველსავე „სამცველო“ ჩემპიონატში გაუმართლა იური სიომინს. უცნაური კია, მაგრამ ფაქტია — საქართველოში გამთამაშებლობით სახელდაგდებული მალხაზი რუსეთში მცველობით აკვირვებს ყველას.

ასათიანი „სპორტ-ექსპრესის“ შეფასებათა საშუალო მაჩვენებლით პრემიერლიგის საუკეთესო ოცეულშიც მოხვდა — 6,00 ქულით თანაგუნდელ სერგეი ოვჩინიკოვთან და არმიელ ელვერ რახიმიჩთან ერთად მეცამეტე-მეთხუთმეტე ადგილები გაიყო.

და კიდევ, მალხაზ ასათიანი ერთადერთი ქართველია, რომელიც პრემიერლიგის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანეს. საერთოდ კი, ამ ნაკრებში ჩვენებურის გარდა კიდევ ოთხი ლეგიონერი მოხვდა. სიმბოლურს კი ასეთი სახე აქვს: *ოვჩინიკოვი (ლოკომოტივი),* ***ასათიანი*** *(ლოკომოტივი), ოდია (ცსკა), ლიმა (ლოკომოტივი), იანი (სატურნი), იაროშიკი (ცსკა), გუსევი (ცსკა), ლოსკოვი (ლოკომოტივი), ჟირკოვი (ცსკა), სიჩოვი (ლოკომოტივი), არშავინი (ზენიტი).*

**ბახა შალამბერიძე**




„ლოკომოტივის“ ფანებს არც ტრავმირებული მიხეილ აშვეთია დავიწყებიათ

საქართველოს ჩემპიონატი
პირველი 16 ლიგა 13 ტური
საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა
პირველი წრე

# გურული გურუ: ტიტუ, გოუშობიენ

ლანჩხუთი. 13 ნოემბერი. 14 საათი. ევგრაფი შევარდნაძე. 150 (ტევადობა 14 000)

## გურია 0:3 ამერი

0:1 დავითაშვილი (39), 0:2 დავითნიძე (68), 0:3 კაიდარაშვილი (71)

| | |
|---|---|
| გურია: ჩომახიძე, რ. კუკულაძე, თოფურია, ალ. განევი, მგელაძე, მინჯია, სულაქველიძე, ფაცურია, ასკურავა (ან. განევი 79), ენდელაძე, ტ. კუკულაძე<br>მწვრთნელი: თემურ ლორია | ამერი: ნაჭყეპია, კედელაშვილი, დავითნიძე, ელბაქიძე (ჩხეტიანი 46), ბერიანიძე, კაიდარაშვილი (გარუჩავა 81), დეკანოსიძე, დავითაშვილი (წინამძღვრიშვილი 78), სევასტოპულო, ხვადაგიანი, სილაგავა<br>მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე |

გაფრთხილება: კედელაშვილი (44), თოფურია (66), კაიდარაშვილი (69), ნაჭყეპია (77)

მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი; გ. დოგრაშვილი, ხ. გაგნიძე, ჯ. ბუიშვილი

**სოსო კოტორეიშვილი**
**ლანჩხუთიდან**

პირველი ტაიმი უგოლო ფრისკენ მიდიოდა, 39-ე წუთზე ლანჩხუთელებმა მოედნის შუაში უხეიროდ რომ გაითამაშეს საჯარიმო და ბურთი სტუმართა ფორვარდ დავით სევასტოპულოს ჩააბარეს. სევასტოპულო უმალ ჩომახიძის კარისკენ დაიძრა, საჯარიმოს მიახლოვებულმა კარგადაც დაარტყა, მაგრამ მეკარემ იყოჩაღა და ბურთი მოიგერია, თუმც იქვე ჩასაფრებულ სულიკო დავითაშვილისკენ; „აბრეზამაც“ არ დაახანა და მახვილი კუთხიდან დაბალი დარტყმით გაიტანა.

გოლამდე კი ისეთი თამაში იყო, თანაბარი რომ ეთქმის. ერთი კია, სტუმარ ნახევარმცველთა გააზრებული და გამართული მოქმედების წყალობით მცირე უპირატესობას „ამერი“ დაეუფლა. ალექსანდრე კაიდარაშვილი და გიორგი დეკანოსიძე ბურთთან ერთი შეხებით ცდილობდნენ თამაშის გამწვავებას, რამდენჯერმე გამოუვიდათ კიდეც — დავითაშვილსა და სევასტოპულოს დროული, გამჭოლი პასები არ დაამადლეს. მაგრამ არც ლანჩხუთელები ყოფილან გულხელდაკრეფილნი, დაცვაში ფხიზლად თამაშობდნენ და თბილისელთა ფორვარდებს კართან მიახლოვებისა და დარტყმის საშუალებას არ აძლევდნენ.

შეტევაში კი ლანჩხუთელები ასკურავა-ენდელაძის წყვილის იმედად იყვნენ. მრავლისმნახველმა და საქართველოს ჩემპიონატების ერთ-ერთმა საუკეთესო მეგოლემ ენდელაძემ მართლაც გამოიდო თავი, მაგრამ ბურთი იშვიათად სტუმრობდა და ალბათ ამიტომაც პირველი ათი წუთის მერე ერთგვარად გამთამაშებლობაც იკისრა. ენდელაძის აქტიურობას „ამერის“ კართან სამი კუთხური მოჰყვა — ერთი გოლამდე და ორიც გოლის მერე, ექვსწუთიან მონაკვეთში. სწორედ ამ ბოლო ორი კუთხურისას შეეძლოთ ეხეირათ გურულებს, მაგრამ ჯერ ენდელაძის ნახევარმაკრატელათი დარტყმულ ბურთს ხვადაგიანი გადაეფარა, მერე კი ამერელთა მეკარე რეზო ნაჭყეპიამ მოიგერია კუთხურიდან ახლო კუთხეში ჩაბზრიალებული ბურთი. ეს იყო და, პირველი ტაიმიც დასრულდა.

მეორე ნახევრის დაწყებისთანავე „გურიამ“ თბილისელთა კარისკენ გაიწია — ლანჩხუთელები ხუთი წუთი სტუმართა საჯარიმოს ამაოდ უტრიალებდნენ, სწორედ ამ დროს „ევგრაფი შევარდნაძეზე“ მოსულმა ერთმა გურულმა ქომაგმა იწინასწარმეტყველა: „ისე შუტიეს ჩვენებმა, ახლა გოლს გოუშობიენ“. ეს იყო და, დეკანოსიძემ ბურთი მოიგდო, ორ მცველს გასცდა და მოზომილი პასით დავითაშვილი მეკარესთან პირისპირ დატოვა; გურულის წინასწარმეტყველება და გოლი გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ „ამერის“ თავდამსხმელს ბურთი ფეხებში აებლანდა და ჩომახიძეს ჩააბარა.

„აბრეზამ“ შეცდომა იმით გამოასწორა, რომ 68-ე წუთზე მარჯვენა ფლანგიდან სახიფათოდ შეუტია და საჯარიმო მოინადირა. ბურთთან გიორგი დეკანოსიძე მივიდა, რომელსაც პირველ ტაიმში ორი ჯარიმა გაუცუდდა, ამჯერზე კი კარში დარტყმას ჩაწოდება ამჯობინა და, როგორც გამოჩნდა, სწორადაც მოიქცა — მეკარის საჯარიმოში შეჭრილ დავითნიძეს ზუსტად უპასა და „ამერის“ კაპიტანმაც ჩომახიძეს შანსი არ დაუტოვა.

დავითაშვილის აქტიურობასვე მოჰყვა მესამე გოლიც. სულიკომ ისევ მარჯვენა ფლანგზე ჩაიდრიბლინგა, საჯარიმოში ჩააწოდა, ბურთისკენ დავით სევასტოპულომ გაიწია, მაგრამ მცველთან ჯაჯგურში ვერაფერს გახდა, თუმც იქვე ჩასაფრებულ კაიდარაშვილს ბურთი ფეშქაშივით მიერთვა და ცარიელ კარში შეგდებასაც რაღა უნდოდა.



ამერელებმა გიორგი ჩიხრაძისა შეისმინეს

მატჩის დასრულებამდე 19 წუთი რჩებოდა, მაგრამ „გურია“ რომ თამაშის გადამრჩენი არ იყო, თავად ლანჩხუთელმა ფეხბურთელებმაც კარგად იცოდნენ და მათმა 150-მდე ქომაგმაც, რომლებიც უხმაუროდ ტოვებდნენ ტრიბუნას.

უმაღლეს ლიგას დამიზნებულმა „ამერმა“ კი სამი ქულა შეიმატა, ცხრილში კვლავ მეოთხეა, ოღონდ ახლა მეორე-მესამეადგილოსან „ვიტ ჯორჯიასა“ და „სპარტაკს“ ოდენ ქულით ჩამორჩება.



გიორგი დავითნიძის მეორე გოლმა გურულებს მატჩის გადარჩენის იმედი გადაუწურა

**ჩიხურა 0:1 კახეთი**

**ვიტ ჯორჯია 1:0 იბერია**

**ოლიმპი 2:1 მერანი**

**მაღაროელი 0:6 დინამო 2**

**საგარეჯო 2:2 სპარტაკი**

**რუსთავი 0:3 ლოკომოტივი 2**

**ბორჯომი 3:2 ცხინვალი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორჯომი | 13 | 11 | 1 | 1 | 37:15 | 34 |
| ვიტ ჯორჯია | 13 | 9 | 2 | 2 | 22:6 | 29 |
| სპარტაკი | 13 | 8 | 5 | 0 | 26:13 | 29 |
| ამერი | 13 | 9 | 1 | 3 | 39:7 | 28 |
| კახეთი | 13 | 8 | 1 | 4 | 24:20 | 25 |
| დინამო 2 | 13 | 7 | 1 | 5 | 31:20 | 22 |
| ცხინვალი | 13 | 5 | 3 | 5 | 19:18 | 18 |
| ლოკომოტივი 2 | 13 | 4 | 3 | 6 | 16:19 | 15 |
| გურია | 12 | 4 | 2 | 6 | 10:18 | 14 |
| ჩიხურა | 13 | 4 | 2 | 7 | 9:17 | 14 |
| იბერია | 12 | 3 | 5 | 4 | 10:13 | 14 |
| მერანი | 11 | 4 | 1 | 6 | 16:20 | 13 |
| ოლიმპი | 13 | 3 | 3 | 7 | 13:19 | 12 |
| რუსთავი | 13 | 3 | 1 | 9 | 15:28 | 10 |
| საგარეჯო | 13 | 1 | 4 | 8 | 11:32 | 7 |
| მაღაროელი | 13 | 0 | 3 | 10 | 6:39 | 3 |

# ბოლოს ჰერტამ გაიცინა

## გერმანია

### ბუნდესლიგა. XIII ტური

**შალკე 1:3 ჰერტა**

0:1 მარსელინიო (42), 1:1 ასამოა (50), 1:2 რაფაელი (71), 1:3 კოვაჩი (83)

შალკე: ფ. როსტი, უდე კამპუისი, ვალდოხი, ბორდონი, პანდერი (ჰანკე 75), კ. პოულსენი, კობიაშვილი, ლინკოლნი, ასამოა, სანდი, აილტონი (გ. ვარელა 79)

მწვრთნელი: რალფ რანგნიკი

ჰერტა: ფიდლერი, ო. შრიოდერი, მადლუნგი, შიმუნიჩი, ფატი, ნ. კოვაჩი, კ. მიულერი (დარდაი 86), ბაშთურქი (ნოინდორფი 69), ჟილბერტო, მარსელინიო, რაფაელი (ბობიჩი 82)

მწვრთნელი: ფალკო გიოტცი

გაფრთხილება: ბაშთურქი, ფატი

მსაჯი: ფანდელი

61 524 მაყურებელი

**ფრაიბურგი 2:3 არმინია**

1:0 კულიბალი (15), 1:1 ბაკლი (16), 1:2 ოვომოიელა (20), 2:2 იაშვილი (38), 2:3 ბაკლი (86)

ფრაიბურგი: გოლცი, კრუპკე (კონდე 36), შუმანი, ბ. დიარა, აოგო (ანტარი 77), ცქიტიშვილი, ს. რიტერი, კაირო, ს. კულიბალი, ტანკო (დორნი 66), იაშვილი

მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე

არმინია: ჰაინი, ლენსე, რაუვე (კ. დურო 64), გაბრიელი, შულერი, კაუფი, დამაიერი (ფინკი 73), ოვომოიელა, შკელა, ბაკლი, ფ. ვატა (ბოგუში 90)

მწვრთნელი: უვე რაპოლდერი

გაფრთხილება: კრუპკე, ანტარი, შკელა

მსაჯი: ტრაუტმანი

21 000 მაყურებელი

**ვოლფსბურგი 3:0 შტუტგარტი**

1:0 ბრდარიჩი (42), 2:0, 3:0 პეტროვი (69, 76)

ვოლფსბურგი: იენჩი, კ. რიტერი, კიროგა, ჰოფლანდი, ვაიზერი, შარპეი, ტიამი, კარჰანი (აჰუმადა 79), მ. პეტროვი (ჰრგოვიჩი 81), ბრდარიჩი (ტოპიჩი 70), კლიმოვიჩი

მწვრთნელი: ერიკ გერეტსი

შტუტგარტი: ჰილდებრანდი, მაისნერი, ბაბელი, შტრანცლი, ლამი, სოლდო, ტიფერტი, ვრანიეში (ჰელდტი 46), ა. გლები (ჟივკოვიჩი 86), კურანი (საბიჩი 64), კაკაუ

მწვრთნელი: მათიას ზამერი

გაფრთხილება: ჰოფლანდი, ტიამი, ჰრგოვიჩი, ტიფერტი, მაისნერი, კაკაუ

მსაჯი: შტარკი

29 076 მაყურებელი

**ვერდერი 2:2 ლევერკუზენი**

1:0 კლოზე (19), 1:1 ვორონინი (51), 1:2 ბერბატოვი (53), 2:2 ვალდესი (72)

ვერდერი: რაინკე, სტალტერი, ისმაელი, ფ. ბაუმანი, შულცი (ნ. ვალდესი 68), დ. იენსენი, ფ. ერნსტი, ბოროვსკი (მანინი 61), მიკუ, კლოზე, კლასნიჩი

მწვრთნელი: თომას შააფი

ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, ბალიტჩი (პონტე 78), ნოვოტნი, როკე ჟუნიორი, პლასენტე, რამელო, ფრაიერი (ჟუანი 74), ბ. შნაიდერი, კრჟინოვეკი, ვორონინი (ბაბიჩი 89), ბერბატოვი

მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი

გაფრთხილება: მიკუ, იენსენი, პლასენტე

მსაჯი: ბრიხი

38 128 მაყურებელი

**ჰანოვერი 2:0 მაინცი**

1:0 კრისტიანსენი (34), 2:0 შრიოტერი (61)

ჰანოვერი: ენკე, ჩერუნდოლო, მერტესაკერი, ზურავი, ტარნატი, ლალა, დე გუცმანი, კრუპნიკოვიჩი (ვ. ბუტი 90), შრიოტერი, თ. კრისტიანსენი (სტაინერი 77), შტენდელი (ლეანდრო 87)

მწვრთნელი: ევალდ ლინენი

მაინცი: ვახე, ნიკოლიჩი, მ. ფრიდრიხი, ნოვესკი, როსე (ვაიგელტი 59), ფ. გერბერი, კრამნი (იოვანოვიჩი 73), ბაბაცი (დვორაკი 59), და სილვა, კეისი, აუერი

მწვრთნელი: იურგენ კლოპი

გაფრთხილება: ჩერუნდოლო, ტარნატი, ბაბაცი

მსაჯი: ფლაიშერი

31 078 მაყურებელი

**კაიზერსლაუტერნი 1:0 დორტმუნდი**

1:0 ზანდი (7პ)

კაიზერსლაუტერნი: ვიზე, ლემბი (გრამოცისი 37), ჰერჩი, მეტომო, ჩატო, რიდლი (ტებერი 69), ზანდი, ენგელარდტი, ამანატიდისი, იანკერი (ჰალილ ალტინტოპი 46), კოსოვსკი

მწვრთნელი: კურტ იარა

დორტმუნდი: ვაიდენფელერი, მადუნი, ბრჟენსკა (სენესიე 82), ვიორნსი, კოლმანი (კრუსკა 43), კრინგე, კელი, დედე, ევერტონი, როსიცკი, კოლერი

მწვრთნელი: ბერტ ვან მარვიიკი

გაფრთხილება: ტებერი, კოლერი, კრინგე

მსაჯი: ვაგნერი

37 417 მაყურებელი

**მიონხენგლადბახი 2:1 ნიურნბერგი**

1:0 ნოივილი (19პ), 2:0 სვერკოში (72), 2:1 მინტალი (90პ)

მიონხენგლადბახი: კამპა, კორჟინეცი, პლეტჩი, შტრასერი, ციგე (ვან კერკჰოვენი 39), დემო, ულიხი, კლუგე, ჰაინცი, სვერკოში (ვან ჰუტი 78), ნოივილი (ბროიხი 83)

მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი

ნიურნბერგი: შეფერი, პაულუსი (მაიტო 69), კანტალუპი, ნიკლი, ლ. მიულერი, ლარსენი, ბანოვიჩი (სლოვაკი 46), ს. მიულერი (კესლინგი 72), მინტალი, ვიტეკი, შროტი

მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი

გაფრთხილება: კლუგე, ვან კერკჰოვენი, ს. მიულერი, შროტი

მსაჯი: მერკი

45 595 მაყურებელი

**ბოხუმი 1:3 ბაიერნი**

1:0 ლოკვენცი (66), 1:1, 1:2 გერერო (76, 81), 1:3 პროისი (82ს.კ.)

ბოხუმი: ვან დუინჰოვენი, კალა, კოლდინგი, კნავსი, მაიხელბეკი, პროისი, ცდებელი, ვოში, პ. მადსენი, ტროიანი (მისიმოვიჩი 83), ლოკვენცი

მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი

ბაიერნი: კანი, სანიოლი, ლუსიო, რ. კოვაჩი, სალიჰამიჯიჩი, ჰარგრივსი (შოლი 68), ბალაკი, ფრინგსი, შვაინსტაიგერი (დემიკელისი 83), მაკაი, კ. პიზარო (პ. გერერო 46)

მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

გაფრთხილება: პროისი, ცდებელი, ლოკვენცი, სალიჰამიჯიჩი, სანიოლი

მსაჯი: გროფე

32 645 მაყურებელი

**ჰანზა 0:6 ჰამბურგი**

0:1 ბენჟამინი (20), 0:2 იაროლიმი (35), 0:3 ტაკაჰარა (42), 0:4 მორეირა (47), 0:5 იაროლიმი (63), 0:6 რომეო (83)

ჰანზა: შობერი, მიორლე, პერსონი, ჰილი, ლანცი (ლაპაჩინსკი 69), დ. რასმუსენი, რიდლევიჩი, თ. რასმუსენი (მაული 77), არვიდსონი, დი სალვო, პრიკა

მწვრთნელი: იური შლიუნცი

ჰამბურგი: პიკენჰაგენი, შლიკე (ბენჟამინი 13), ბულარუზი, ვან ბუიტენი, კლინგბილი, ვიკი, იაროლიმი, ბაინლიხი, მორეირა (მაჰდავიკია 77), ბარბარესი, ტაკაჰარა (რომეო 66)

მწვრთნელი: თომას დოლი

გაფრთხილება: არვიდსონი, თ. რასმუსენი, მიორლე, მორეირა, ბარბარესი

მსაჯი: იანსენი

18 000 მაყურებელი

აწყვეტილი „შალკე“ ბერლინის „ჰერტამ“ გელზენკირხენში გააჩერა. რალფ რანგნიკის ხელში „ხუმარები“ პირველად დამარცხდნენ. მარსელინიომ სტუმრები პირველი ტაიმის მიწურულს დააწინაურა, მარცხენა ფლანგიდან მილებული ბურთი დამხვდურთა კარში შეაბრძანა. მეორე ნახევრის დასაწყისში ჯერალდ ასამოამ მეკარე ფიდლერის შეცდომით ისარგებლა და გაათანაბრა, მაგრამ „ჰერტა“ ნანდო რაფაელის წყალობით კვლავ წინ გავიდა, შეხვედრის დასრულებამდე შვიდი წუთით ადრე კი ნიკო კოვაჩმა საბოლოოდ დაარწმუნა გელზენკირხენელები, რომ „შალკე“ დაუმარცხებელი გუნდი არ არის.

ბუნდესლიგას ისევ „ვოლფსბურგი“ მეთაურობს — ერიკ გერეტსის „მგლებმა“ შაბათს მათიას ზამერის „შტუტგარტი“ წააქციეს. „შტუტგარტმა“ თასზე „ბაიერნისგანაც“ სამი გოლი გაუშვა და ამჯერად იგივე გაიმეორა, რაც დაცვის უსაქმურობაზე მეტყველებს.

დამხვდურებმა შესვენებამდე გახსნეს ანგარიში. პაბლო ტიამმა ბურთი იურიცა ვრანიეშს ასწაპნა და ტომაშ ბრდარიჩს მიართვა, რომელმაც ჰილდებრანდს გაუტანა. ამის შემდეგ მარტინ პეტროვმა გაილაღა. ჯერ ფლანგიდან ცენტრისკენ შეჭრილმა დააჯახა ბურთს ფეხი საგოლედ, მერე კი ბულგარელს „ვოლფსბურგის“ მეკარემ 70-მეტრიანი პასი გაუჩარხა და მანაც მესამე მიართვა შტუტგარტელებს.

„ფრაიბურგი“ ტურიდან ტურამდე აუარესებს თამაშს და მეორე ბუნდესლიგისკენ მიცოცავს. ფინკეს შევირდები კულიბალის გოლით უგებდნენ „არმინიას“, თუმც დელრომ ბაკლიმ მყისვე გაათანაბრა, ოვომოიელამ კი სტუმრებს მეორეც „დაახალა“. „ფრაიბურგი“ თამაშის ასეთი შემობრუნებით არ დაბნეულა და ალექსანდრე იაშვილმა ცამეტიოდ მეტრიდან დაჯაბნა „არმინიას“ მეკარე. მატჩის დასრულებამდე სამი წუთი რჩებოდა, როცა კლოდიან დურომ ბაკლის კანფეტი პასი გაუჩარხა და ფორვარდმა დუბლი შეასრულა.

„კაიზერსლაუტერნმა“ დორტმუნდის „ბორუსიას“ მოუგო და ქვესკნელიდან ამოძვრა. ჰალილო ალტინტოპის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ფერეიდონ ზანდიმ გამოიყენა და მასპინძლებმა სეზონში მეოთხე გამარჯვება ჩაიწერეს.

ბრემენის „ვერდერი“ ფრეების ტალღაზე დადგა. „მუსიკოსებმა“ მიჯრით მესამე ფრე ითამაშეს. მიროსლავ კლოზემ როკე ჟუნიორს შეცდომა არ აპატია და კარიდან ათ მეტრში ბურთს ფეხი საგოლედ დაუხვედრა. მეორე ტაიმში ლევერკუზენელებმა დასაწინაურებლად ორი წუთი იკმარეს. ანდრეი ვორონინმა და დიმიტარ ბერბატოვმა მასპინძლები შეაფუცხუნეს. თომას შააფმა ნელსონ ვალდესით გააძლიერა შეტევა და ფორვარდმაც თავისი საქმე ფრიადზე შეასრულა — მასპინძლებს ქულა გადაურჩინა.

დიკ ადვოკაატის მეთაურობით მიონხენგლადბახის „ბორუსიამ“ პირველი მოგება მიითვალა. ოლივერ ნოივილმა მისივე წაქცევისთვის დანიშნული თერთმეტმეტრიანი საჯარიმო შეიგდო, მერე კვლავ სვერკოშმა ანგარიშში სხვაობა ორამდე გაზარდა, მარეკ მინტალმა კი თამაშის მიწურულს პენალტით ერთი გოლი გაქვითა.

„ჰანოვერმა“ ცხრილის მეზობელ „მაინცს“ სამი ქულა დაატოვებინა და ევალდ ლინენის გუნდი ხუთეულში გამოიჭიმა.

**ვაჟა ხუციშვილი**




REUTERS ფოტო/სარბიელი

„ვოლფსბურგი“ — „შტუტგარტი“. ტიმო ჰილდებრანდი მარტინ პეტროვმა ორჯერ შეარცხვინა

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ვოლფსბურგი | 13 | 9 | 0 | 4 | 23:18 | 5 | 27 | 7 | 6 | 0 | 1 | 17:6 | 11 | 18 | 6 | 3 | 0 | 3 | 6:12 | -6 | 9 |
| 2 | ბაიერნი | 13 | 8 | 2 | 3 | 22:13 | 9 | 26 | 6 | 4 | 1 | 1 | 10:3 | 7 | 13 | 7 | 4 | 1 | 2 | 12:10 | 2 | 13 |
| 3 | შალკე | 13 | 8 | 0 | 5 | 19:19 | 0 | 24 | 7 | 5 | 0 | 2 | 14:13 | 1 | 15 | 6 | 3 | 0 | 3 | 5:6 | -1 | 9 |
| 4 | შტუტგარტი | 13 | 7 | 2 | 4 | 24:15 | 9 | 23 | 6 | 5 | 0 | 1 | 16:4 | 12 | 15 | 7 | 2 | 2 | 3 | 8:11 | -3 | 8 |
| 5 | ჰანოვერი | 13 | 7 | 2 | 4 | 21:14 | 7 | 23 | 7 | 5 | 1 | 1 | 14:4 | 10 | 16 | 6 | 2 | 1 | 3 | 7:10 | -3 | 7 |
| 6 | ვერდერი | 13 | 6 | 3 | 4 | 26:16 | 10 | 21 | 7 | 3 | 2 | 2 | 13:8 | 5 | 11 | 6 | 3 | 1 | 2 | 13:8 | 5 | 10 |
| 7 | არმინია | 13 | 6 | 2 | 5 | 15:14 | 1 | 20 | 6 | 2 | 2 | 2 | 4:5 | -1 | 8 | 7 | 4 | 0 | 3 | 11:9 | 2 | 12 |
| 8 | ლევერკუზენი | 13 | 5 | 4 | 4 | 23:20 | 3 | 19 | 6 | 5 | 1 | 0 | 18:7 | 11 | 16 | 7 | 0 | 3 | 4 | 5:13 | -8 | 3 |
| 9 | მაინცი | 13 | 5 | 4 | 4 | 21:20 | 1 | 19 | 6 | 4 | 2 | 0 | 11:5 | 6 | 14 | 7 | 1 | 2 | 4 | 10:15 | -5 | 5 |
| 10 | ჰერტა | 13 | 4 | 6 | 3 | 17:12 | 5 | 18 | 6 | 1 | 4 | 1 | 7:6 | 1 | 7 | 7 | 3 | 2 | 2 | 10:6 | 4 | 11 |
| 11 | ნიურნბერგი | 13 | 4 | 4 | 5 | 23:20 | 3 | 16 | 6 | 2 | 2 | 2 | 9:5 | 4 | 8 | 7 | 2 | 2 | 3 | 14:15 | -1 | 8 |
| 12 | ჰამბურგი | 13 | 5 | 1 | 7 | 22:20 | 2 | 16 | 6 | 3 | 0 | 3 | 11:10 | 1 | 9 | 7 | 2 | 1 | 4 | 11:10 | 1 | 7 |
| 13 | გლადბახი | 13 | 4 | 4 | 5 | 18:19 | -1 | 16 | 7 | 4 | 1 | 2 | 13:9 | 4 | 13 | 6 | 0 | 3 | 3 | 5:10 | -5 | 3 |
| 14 | დორტმუნდი | 13 | 3 | 5 | 5 | 14:18 | -4 | 14 | 6 | 1 | 3 | 2 | 7:9 | -2 | 6 | 7 | 2 | 2 | 3 | 7:9 | -2 | 8 |
| 15 | ლაუტერნი | 13 | 4 | 2 | 7 | 15:22 | -7 | 14 | 7 | 3 | 1 | 3 | 8:10 | -2 | 10 | 6 | 1 | 1 | 4 | 7:12 | -5 | 4 |
| 16 | ბოხუმი | 13 | 2 | 5 | 6 | 17:26 | -9 | 11 | 7 | 1 | 3 | 3 | 10:13 | -3 | 6 | 6 | 1 | 2 | 3 | 7:13 | -6 | 5 |
| 17 | ფრაიბურგი | 13 | 2 | 4 | 7 | 13:26 | -13 | 10 | 7 | 1 | 3 | 3 | 8:10 | -2 | 6 | 6 | 1 | 1 | 4 | 5:16 | -11 | 4 |
| 18 | ჰანზა | 13 | 2 | 2 | 9 | 10:31 | -21 | 8 | 7 | 0 | 0 | 7 | 4:22 | -18 | 0 | 6 | 2 | 2 | 2 | 6:9 | -3 | 8 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ბაკლი (არმინია) | 10 |
| მინტალი (ნიურნბერგი) | 10 |
| ნოივილი (მიონხენგლადბახი) | 9 |
| კლოზე (ვერდერი) | 8 |
| კაკაუ (შტუტგარტი) | 7 |
| პეტროვი (ვოლფსბურგი) | 7 |

### XIV ტური

20-21 ნოემბერი

| | |
|---|---|
| მაინცი | ბოხუმი |
| ბაიერნი | ლაუტერნი |
| დორტმუნდი | ფრაიბურგი |
| არმინია | ვერდერი |
| ლევერკუზენი | შალკე |
| ჰერტა | ჰანზა |
| ჰამბურგი | ვოლფსბურგი |
| შტუტგარტი | გლადბახი |
| ნიურნბერგი | ჰანოვერი |

## II ბუნდესლიგა

### XIII ტური

**ფიურტი 2:0 ზაარბრიუკენი**

1:0 კაილასი (11), 2:0 ფაინბერი (77)

**მიუნხენი 5:1 ობერჰაუზენი**

1:0, 2:0 კოლომაჟნიკი (21, 27), 3:0 ტისი (33), 4:0 კოლომაჟნიკი (57), 5:0 ბაიერი (64), 5:1 ტოკოდი (73)

**ერფურტი 1:0 ბურგჰაუზენი**

1:0 ვუკოვიჩი (83პ)

**ალენი 2:0 დინამო**

1:0, 2:0 ბამბა (19, 79)

**ალემანია 1:1 ესენი**

1:0 მიხალკე (34), 1:1 კიოიო (47)

**დუისბურგი 2:0 კოტბუსი**

1:0 ვან ჰუდტი (5), 2:0 კურტი (70)

**ტრირი 2:2 აინტრახტი**

0:1 რაინჰარდი (11), 1:1 პაჩინსკი (23პ), 1:2 შური (43), 2:2 პაჩინსკი (54)

**აუე 1:0 კარლსრუე**

1:0 ემერიხი (58პ)

**უნტერჰახინგი — კიოლნი**

დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დუისბურგი | 13 | 9 | 1 | 3 | 20:12 | 28 |
| ფიურტი | 13 | 8 | 3 | 2 | 17:8 | 27 |
| კიოლნი | 12 | 8 | 2 | 2 | 22:14 | 26 |
| ალემანია | 13 | 6 | 4 | 3 | 26:12 | 22 |
| მიუნხენი | 13 | 5 | 4 | 4 | 20:19 | 19 |
| ბურგჰაუზენი | 13 | 5 | 3 | 5 | 18:16 | 18 |
| ალენი | 13 | 4 | 6 | 3 | 15:14 | 18 |
| ტრირი | 13 | 4 | 6 | 3 | 17:18 | 18 |
| ზაარბრიუკენი | 13 | 5 | 2 | 6 | 18:16 | 17 |
| აუე | 13 | 5 | 2 | 6 | 18:16 | 17 |
| უნტერჰახინგი | 12 | 5 | 1 | 6 | 18:17 | 16 |
| კოტბუსი | 13 | 4 | 4 | 5 | 12:14 | 16 |
| აინტრახტი | 13 | 4 | 3 | 6 | 23:25 | 15 |
| კარლსრუე | 13 | 3 | 5 | 5 | 15:18 | 14 |
| ერფურტი | 13 | 3 | 5 | 5 | 6:16 | 14 |
| ესენი | 13 | 2 | 6 | 5 | 19:25 | 12 |
| დინამო | 13 | 3 | 2 | 8 | 15:25 | 11 |
| ობერჰაუზენი | 13 | 2 | 3 | 8 | 13:27 | 9 |

## ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

### XVII ტური

ოსნაბრიუკი — ჰერტა (მ) 1:1; დიუსელდორფი — ლიუბეკი 2:2; დორტმუნდი (მ) — ქემნიცი 1:1; არმინია (მ) — ვერდერი (მ) 3:1; პადერბორნი — მიუნსტერი 3:2; უნიონი — ბრაუნშვაიგი 1:2; ზანკტ პაული — ვოლფსბურგი (მ) 2:1; ჰამბურგი (მ) — იურდინგენი 3:0; კიოლნი (მ) — ვუპერტალი 1:1

## სამხრეთი რეგიონალლიგა

### XV ტური

ჰოფენჰაიმი — დარმშტადტი 1:0; ნოტინგენი — აალენი 0:1; ელვერსბერგი — შტუტგარტი (მ) 1:0; რეგენსბურგი — პფულენდორფი 2:4; კიკერსი — აუგსბურგი 3:3; ოფენბახი — კობლენცი 0:0; მაინცი (მ) — მიუნხენი (მ) 2:0; ბაიერნი (მ) — ზიგენი 3:0. ფიურტი — ვეჰენი ხვალ გაიმართება

## იტალია

### სერია A. XII ტური

**მილანი 2:1 სიენა**

1:0 შევჩენკო (25), 1:1 არჯილი (31), 2:1 შევჩენკო (37)
მილანი: დიდა, კაფუ, ნესტა, მალდინი, პანკარო, გატუზო, პირლო, ზეედორფი (რუი კოშტა 80), კაკა (ამბროზინი 75), შევჩენკო, ტომასონი (კრესპო 86)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
სიენა: ფორტინი, ჩირილო, არჯილი, პორტანოვა (გრაფიედი 29), ნიკოლა, კამორანი, პეკია (ტ. ფლო 75), დი დონატო, ვერგასოლა, კიუმიენტო (მენეგაცო 46), კიეზა
მწვრთნელი: ლუიჯი სიმონი
გაფრთხილება: გატუზო
მსაჯი: ბერტინი
58 000 მაყურებელი

**ლეჩე 0:1 იუვენტუსი**

0:1 დელ პიერო (14)
ლეჩე: სიჩინიანო, კ. სილვესტრი (ვუჩინიჩი 86), დიამუტენე, სტოვინი, აბრუცეზე (ერიომენკო 86), ჯაკომაცი, ლედესმა, დალა ბონა, კასეტი, ბიელანოვიჩი, ბოჟინოვი
მწვრთნელი: ზდენეკ ზემანი
იუვენტუსი: ბუფონი, პესოტო (ტუდორი 84), ტურამი, ფ. კანავარო, ძამბროტა, კამორანეზი, ემერსონი, აპია, ოლივერა (ბლაზი 77), დელ პიერო (კაპო 59), იბრაჰიმოვიჩი
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: დიამუტენე, ლედესმა, პესოტო, ტურამი, ტუდორი, სიჩინიანო
მსაჯი: დე სანტისი
28 000 მაყურებელი

**კალიარი 3:3 ინტერი**

1:0 ძოლა (6პ), 2:0 ლანგელა (33), 2:1 სტანკოვიჩი (35), 3:1 ესპოზიტო (60), 3:2, 3:3 მარტინსი (75, 88)
კალიარი: კატერიანაკისი, დ. ლოპესი, მალტალიატი, ბეგა (ლორია 88), აგოსტინი, აბეიხონი, დელნევო, გობი, მ. ესპოზიტო, ლანგელა (ალბინო 74), ძოლა (ბიანკი 80)
მწვრთნელი: დანიელე არიგონი
ინტერი: ტოლდო, ი. კორდობა, ბურდისო (კარაგუნისი 61), მატერაცი, ფავალი (მეჯორინი 86), ხ. ძანეტი, დ. სტანკოვიჩი, კ. ძანეტი (ზე მარია 77), ემრე, ადრიანო, ო. მარტინსი
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
გაფრთხილება: მატერაცი, ფავალი, ლოპესი, აბეიხონი, ესპოზიტო
მსაჯი: პიერი
20 000 მაყურებელი

**უდინეზე 1:1 მესინა**

0:1 ამორუზო (12), 1:1 დი მიკელე (54)
უდინეზე: დე სანკტისი, ბერტოტო, სენსინი, კროლდრუპი, ბელერი (დი მიკელე 46), დ. პიზარო, მუნტარი, იანკულოვსკი (პაზიენცა 74), მაური, იაკინტა, დი ნატალე (ფავა 85)
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
მესინა: ელეფთეროპულოსი, არონიკა, რეზაეი, ძანკი (დალტერიო 41), პარიზი, ამეტრანო, დონატი, კოპოლა, ილიევი (რაფაელი 67), ნ. ამორუზო, დი ნაპოლი (იანაგისავა 74)
მწვრთნელი: ბორტოლო მუტი
გაფრთხილება: ამეტრანო, ილიევი, კოპოლა, პაზიენცა
მსაჯი: როდომონტი
17 000 მაყურებელი

**ლაციო 2:1 ბოლონია**

1:0 როკი (6), 1:1 ტარე (55), 2:1 დი კანიო (84პ)
ლაციო: სერენი, ო. ლოპესი, ტალამონტი, ლეკი, სერიჩი (ნეგრო 79), კ. მანფრედინი, ე. ფილიპინი, დაბო, სეზარი (დი კანიო 73), როკი, ს. ინძაგი (ა. ფილიპინი 68)
მწვრთნელი: დომენიკო კაზო

# გოლები იყო შევასი



ბოლონია: პალიუკა, ჟუარესი (ნასტასე 46), პეტრუცი, ტორიზი (გამბერინი 15), სუსი, ზაგორაკისი, ლ. კოლუჩი, ბინოტო, ბელუჩი, ტარე, ჩიპრიანი (ლოკატელი 74)
მწვრთნელი: კარლო მაცონე
გაფრთხილება: კოლუჩი, ე. ფილიპინი, დაბო, ტალამონტი, დაბო
გაძევება: დაბო (67), დი კანიო (90), ტარე (90)
მსაჯი: ტალიავენტო
40 000 მაყურებელი

**ფიორენტინა 1:1 ლივორნო**

1:0 რიგანო (75), 1:1 ლუკარელი (83)
ფიორენტინა: ლუპატელი, დელი კარი, ვიალი, დაინელი, უიფალუში, ობოდო, მარესკა, კიელინი, ნაკატა (რიგანო 60), იორგენსენი, მიკოლი
მწვრთნელი: სერჯო ბუზო
ლივორნო: ამელია, გრანდონი (მელარა 61), ვარგასი, გალანტე, ბალერი (პფერცელი 82), ვიჯანი, პასონი, ვიდიგალი, ჯალლომბარდო, პროტი (დანილევიჩუსი 90), კ. ლუკარელი
მწვრთნელი: ფრანკო კოლომბა
გაფრთხილება: დელი კარი, ლუკარელი, მელარა, მიკოლი, ვიჯანი
მსაჯი: ტრეფოლონი
33 143 მაყურებელი

**პარმა 2:2 კიევო**

1:0 ამაური (56ს.კ.), 1:1 ამაური (63), 1:2 სესარი (68), 2:2 მორფეო (78)
პარმა: ს. ფრეი, ბონერა, პ. კანავარო (რუოპოლო 74), პოტენცა, კონტინი, მარკიონი, სიმპლისიო, ბრეშიანო, როზინა (ბოვო 22), ჯილარდინო, მაკარონე (მორფეო 46)
მწვრთნელი: სილვიო ბალდინი
კიევო: მარკეჯანი, ფ. მორო (მალაგო 62), სესარი, დანა, ს. ლანა, სემიოლი, ბრიგი, ბარონიო (ძანკეტა 78), დ. ფრანჩესკინი (პელისიერი 57), ტირიბოკი, ამაური
მწვრთნელი: მარიო ბერეტა
გაფრთხილება: ამაური, კონტინი, სიმპლისიო, ლანა
გაძევება: პოტენცა (20)
მსაჯი: რიცოლი
12 000 მაყურებელი

**რეჯინა 1:0 რომა**

1:0 ბონაცოლი (15)
რეჯინა: სოვიერო, კანარზა, დე როზა, ი. ფრანჩესკინი, მესტო, ტედესკო, მოცარტი, ჯ. კოლუჩი (განჩი 89), ბალესტრი, ნაკამურა (პარედესი 71), ბონაცოლი (დიონიჯი 80)
მწვრთნელი: ვალტერ მაცარი
რომა: პელიცოლი, მექსეში, მ. ფერარი, სკურტო, კანდელა, მანსინი (დე მარტინო 66), დე როსი (აკილანი 46), პეროტა (კორვია 82), ტოტი, მონტელა, ა. კასანო
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
გაფრთხილება: კოლუჩი, მესტო, ფრანჩესკინი, მექსეში, ტოტი, მონტელა
გაძევება: ტედესკო (90)
მსაჯი: კოლინა
15 000 მაყურებელი

**პალერმო 2:0 სამპდორია**

1:0 ტონი (18), 2:0 ბრიენძა (46)
პალერმო: გუარდალბენი, ბიავა, ტერლიცი, ბარძალი, მუტარელი, ბარონე, კორინი (ძაკარდო 86), გროსო, ძაული, ბრიენძა, ტონი
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
სამპდორია: ანტონიოლი, კ. ძენონი, პავანი, ფალკონე, ტონეტო, დიანა (პაგანო 67), დონადელი, პალომბო (ვოლპი 78), დონი, კუტუზოვი (ფლაკი 52), როსინი
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
გაფრთხილება: მუტარელი, დონადელი, დონი
მსაჯი: ჯირარდი
33 077 მაყურებელი

**ატალანტა 0:0 ბრეშა**

ატალანტა: ტაიბი, რივალტა, სალა, ნატალი, ბელინი (ლაცარი 83), დ. ძენონი, ალბერტინი, მარკოლინი, მონტოლივო, ბუდანი (გაუტიერი 75), პაცინი (ინაჩიო პია 37)
მწვრთნელი: ანდრეა მანდორლინი
ბრეშა: კასტელაცი (ალიარდი 46), ძობოლი (ძამბელი 60), ჟ. მარტინესი, მარეკო, სტანკევიჩიუსი, გუანა, დომიცი, შოპი, დალამანო, მანინი (სკული 70), კარაჩოლო
მწვრთნელი: ჯოვანი დე ბიაზი
გაფრთხილება: რივალტა, მარკოლინი, გუანა, კარაჩოლო
მსაჯი: როზეტი
18 000 მაყურებელი

„მილანის" შემადგენლობაში კახა კალაძეს არ უთამაშია, რაც, ალბათ, კარლო ანჩელოტისეული მარცხენა მცველის როტაციის პრინციპით უნდა აიხსნას, ხოლო იონ დალ ტომასონმა მოედანზე 86 წუთი დაჰყო. ახლა, ეს ორი ფეხბურთელი ერთმანეთს ოთხშაბათს, თბილისში, „ლოკომოტივზე" საქართველოსა და დანიის ნაკრებების მატჩში შეხვდება, ხოლო რას ნიშნავს „სიენასთან" ერთის ართამაში და მეორის თამაში ანუ კვირა დღის ამბავი რომელს წაადგება და რომელს არა, ჩვენ არ ვიცით — სწორი პასუხის მიძებნა თქვენთვის მოგვინდია.

ჩვენ დაზუსტებით ვიცით ერთი რამ: როგორც კი „შავ-წითლების" შემადგენლობაში უკრაინელი თავდამსხმელი ანდრეი შევჩენკო დაბრუნდა, გუნდმა გოლი გაიტანა, უფრო ზუსტად, შევჩენკომ გაიტანა... ორი. შეგახსენებთ: მეათე ტურში, როდესაც „მილანი" „რომას" მასპინძლობდა, შევჩენკომ პირველ ტაიმში გოლი შეაგდო და დაშავდა, შესვენებისას შესაცვლელი შეიქნა. იმ თამაშის მეორე ტაიმსა და მეთერთმეტე ტურში (ბრეშაში) ანუ, როდესაც უკრაინელი კუნთს მკურნალობდა, „მილანმა" გოლი ვერ გაიტანა, ხოლო დაბრუნდა თუ არა ეს ფორვარდი მოედანზე, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ყველაფერი თავის ადგილზე დადგა.

და კიდევ ერთი: ანდრეი შევჩენკომ ამ შეხვედრაში სერია A-ში თავისი მეასე გოლი შეაგდო.

ლეჩეში კი, ამასობაში, ისე წვიმდა, რომ „სტადიო ვია დელ მარეს" მოედნის მხოლოდ შუა მონაკვეთზე დახტოდა ბურთი, ფლანგებზე არც გორავდა, ხოლო ერთგან არც მეტი და არც ნაკლები, გუბე თვალით ჩანდა. ასეთ დროს ფეხბურთელებს ძალ-ღონე ორმაგად ეხარჯებათ, ასე რომ, ბარაქალა როგორც ლეჩელ, ასევე ტურინელ მოთამაშეებს ორი ტაიმის განმავლობაში რომ არ შეწყვიტეს სირბილი და ჭიდაობა, როგორც ბურთთან, ასევე ერთმანეთთან და ვფიქრობთ, თავიანთ თავთანაც. კიდევ ბარაქალა ჯანლუიჯი ბუფონს, რომელმაც რამდენიმე ეპიზოდში იხსნა კარი გოლისგან. ხოლო ის ერთი მომენტი, როდესაც ბურთი ლეჩელთა კარში შევარდა, მე-14 წუთზე იყო — ზლატან იბრაჰიმოვიჩმა ალესანდრო დელ პიეროს მიაწოდა ბურთი და მანაც კარის წინ პატარა ტრიალის შემდეგ შეაგდო.

ცნობისთვის: დელ პიერო 59-ე წუთზე კუნთის ტკივილის გამო შეცვალეს.

„ინტერმა"... ნუ იკითხავთ რა ქნა, რადგან თუ სერია A-ს თვალყურს ადევნებთ, ისედაც უნდა იცოდეთ, რას შვრება ხოლმე „შავ-ლურჯი" გუნდი — რა თქმა უნდა, ფრედ ითამაშა. ამჯერად სარდინიაზე, „კალიარისთან". ანგარიშს არ იკითხავთ? 3:3. ასე და ამგვარად, ეს გახლდათ „ინტერის" ზედიზედ მეექვსე ფრე — მეათე თორმეტ თამაშში. სარდინიელთაგან ანგარიში პენალტით ჯანფრანკო ძოლამ გახსნა, რაც ამ ვეტერანისადმი დიდი სიმპათიის გამო საგანგებოდ გვინდა ალვნიშნოთ.

ისე კი, სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ „ინტერის" ფეხბურთელებს [illegible] სარდინიაზე გარდა [illegible] ცირებულ[illegible] იყო დაშავებულთა მთელი ლაშქარი: კრისტიან ვიერი, ხუან სებასტიან ვერონი, ენდი ვან დერ მეიდე, ედგარ დავიდსი, ხულიო კრუზი და ალვარო რეკობა.

ისევ წააგო „რომამ". ამჯერად რეჯო კალაბრიაში, „რეჯინასთან", რომელმაც მართალია შუა კვირაში „პარმასგან" მარცხი იწვნია, სამაგიეროდ, შინ ჩატარებულ ბოლო შეხვედრაში თვით „იუვენტუსს" სძლია 2:1. დამარცხებული რომაელების თავდასხმაში კვლავ გამოჩნდა ანტონიო კასანო, რომელიც ვინჩენცო მონტელას შეუწყვილდა, ხოლო ფრანჩესკო ტოტის, იმისათვის, რომ გუნდის განლაგება კლასიკური 4-4-2 ყოფილიყო, ჩვეულზე უკან, ნახევარდაცვის სიღრმეში მოუხდა დახევა.

**პაპუნა ძედია**

| № | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 იუვენტუსი | 12 | 10 | 1 | 1 | 23:4 | 19 | 31 | 6 | 5 | 1 | 0 | 11:2 | 9 | 16 | 6 | 5 | 0 | 1 | 12:2 | 10 | 15 |
| 2 მილანი | 12 | 7 | 4 | 1 | 18:8 | 10 | 25 | 7 | 3 | 3 | 1 | 12:7 | 5 | 12 | 5 | 4 | 1 | 0 | 6:1 | 5 | 13 |
| 3 უდინეზე | 12 | 5 | 4 | 3 | 18:12 | 6 | 19 | 6 | 2 | 2 | 2 | 9:6 | 3 | 8 | 6 | 3 | 2 | 1 | 9:6 | 3 | 11 |
| 4 მესინა | 12 | 4 | 5 | 3 | 17:17 | 0 | 17 | 6 | 3 | 2 | 1 | 11:9 | 2 | 11 | 6 | 1 | 3 | 2 | 6:8 | -2 | 6 |
| 5 კიევო | 12 | 4 | 5 | 3 | 10:12 | -2 | 17 | 6 | 2 | 3 | 1 | 5:5 | 0 | 9 | 6 | 2 | 2 | 2 | 5:7 | -2 | 8 |
| 6 ლეჩე | 12 | 4 | 4 | 4 | 24:21 | 3 | 16 | 6 | 3 | 1 | 2 | 14:9 | 5 | 10 | 6 | 1 | 3 | 2 | 10:12 | -2 | 6 |
| 7 ინტერი | 12 | 2 | 10 | 0 | 23:20 | 3 | 16 | 5 | 1 | 4 | 0 | 9:7 | 2 | 7 | 7 | 1 | 6 | 0 | 14:13 | 1 | 9 |
| 8 ლაციო | 12 | 4 | 4 | 4 | 13:12 | 1 | 16 | 6 | 2 | 2 | 2 | 7:6 | 1 | 8 | 6 | 2 | 2 | 2 | 6:6 | 0 | 8 |
| 9 ლივორნო | 12 | 4 | 4 | 4 | 12:14 | -2 | 16 | 6 | 3 | 1 | 2 | 6:6 | 0 | 10 | 6 | 1 | 3 | 2 | 6:8 | -2 | 6 |
| 10 კალიარი | 12 | 4 | 4 | 4 | 15:18 | -3 | 16 | 7 | 4 | 2 | 1 | 10:6 | 4 | 14 | 5 | 0 | 2 | 3 | 5:12 | -7 | 2 |
| 11 ფიორენტინა | 12 | 3 | 6 | 3 | 12:10 | 2 | 15 | 6 | 2 | 3 | 1 | 8:5 | 3 | 9 | 6 | 1 | 3 | 2 | 4:5 | -1 | 6 |
| 12 პალერმო | 12 | 3 | 6 | 3 | 9:9 | 0 | 15 | 6 | 3 | 2 | 1 | 6:3 | 3 | 11 | 6 | 0 | 4 | 2 | 3:6 | -3 | 4 |
| 13 სამპდორია | 12 | 4 | 2 | 6 | 8:10 | -2 | 14 | 6 | 1 | 1 | 4 | 2:6 | -4 | 4 | 6 | 3 | 1 | 2 | 6:4 | 2 | 10 |
| 14 ბრეშა | 12 | 4 | 2 | 6 | 10:16 | -6 | 14 | 6 | 2 | 1 | 3 | 4:7 | -3 | 7 | 6 | 2 | 1 | 3 | 6:9 | -3 | 7 |
| 15 რომა | 12 | 3 | 4 | 5 | 19:21 | -2 | 13 | 6 | 2 | 3 | 1 | 12:10 | 2 | 9 | 6 | 1 | 1 | 4 | 7:11 | -4 | 4 |
| 16 რეჯინა | 12 | 3 | 4 | 5 | 9:12 | -3 | 13 | 6 | 3 | 1 | 2 | 6:5 | 1 | 10 | 6 | 0 | 3 | 3 | 3:7 | -4 | 3 |
| 17 ბოლონია | 12 | 3 | 3 | 6 | 13:16 | -3 | 12 | 5 | 2 | 1 | 2 | 7:7 | 0 | 7 | 7 | 1 | 2 | 4 | 6:9 | -3 | 5 |
| 18 პარმა | 12 | 2 | 6 | 4 | 14:19 | -5 | 12 | 7 | 2 | 4 | 1 | 9:7 | 2 | 10 | 5 | 0 | 2 | 3 | 5:12 | -7 | 2 |
| 19 სიენა | 12 | 2 | 5 | 5 | 8:16 | -8 | 11 | 5 | 1 | 3 | 1 | 4:6 | -2 | 6 | 7 | 1 | 2 | 4 | 4:10 | -6 | 5 |
| 20 ატალანტა | 12 | 0 | 7 | 5 | 11:19 | -8 | 7 | 6 | 0 | 5 | 1 | 7:8 | -1 | 5 | 6 | 0 | 2 | 4 | 4:11 | -7 | 2 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| შევჩენკო (მილანი) | 9 |
| ადრიანო (ინტერი) | 9 |
| მონტელა (რომა) | 9 |
| ბოჟინოვი (ლეჩე) | 8 |
| ჯილარდინო (პარმა) | 6 |
| ქ. ლუკარელი (ლივორნო) | 6 |
| მ. ესპოზიტო (კალიარი) | 6 |

### XIII ტური

27-28 ნოემბერი

| | |
|---|---|
| ატალანტა | რეჯინა |
| ბოლონია | ლეჩე |
| ბრეშა | პალერმო |
| კიევო | მილანი |
| ინტერი | იუვენტუსი |
| ლაციო | კალიარი |
| ლივორნო | უდინეზე |
| მესინა | ფიორენტინა |
| სამპდორია | პარმა |
| სიენა | რომა |

### სერია B

XIII ტური

**ასკოლი 0:2 კროტონე**

0:1 პარო (49), 0:2 პორკა (86)

**კატანია 1:3 ჯენოა**

0:1 დ. მილიტო (43), 1:1 ფერანტე (16), 1:2 სტელონე (45), 1:3 მაკინვა (81)

**კატანძარო 1:0 პესკარა**

1:0 არკადიო (44)

**ემპოლი 2:1 მოდენა**

1:0 ტავანო (53), 1:1 განცი (59), 2:1 ტავანო (84)

**პერუჯა 2:0 ვიჩენცა**

1:0 დი ლორეტო (47), 2:0 დე პრადო (80)

**სალერნიტანა 6:1 ჩეზენა**

1:0 ოლივი (30), 2:0 ლონგო (35), 2:1 კავალი (37), 3:1 ძანიოლო (44), 4:1 პალადინო (71პ), 5:1 ფერარეზე (83), 6:1 ბენჯამინი (90)

**ტერნანა 0:1 პიაჩენცა**

0:1 ბეგეტო (44)

**ტორინო 1:1 ვენეცია**

1:0 პინგა (42), 1:1 ლანდაიდა (90)

**ტრევიზო 1:0 ვერონა**

1:0 რეგინალდო (86)

**ტრიესტინა 0:0 ბარი**

**არეცო 1:1 ალბინოლეფე**

1:0 დე ძერბი (15), 1:1 არაბონი (65)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ემპოლი | 13 | 9 | 2 | 2 | 22:9 | 29 |
| ჯენოა | 13 | 7 | 5 | 1 | 30:14 | 26 |
| ტორინო | 13 | 7 | 3 | 3 | 17:10 | 24 |
| პერუჯა | 13 | 6 | 4 | 3 | 18:12 | 22 |
| პიაჩენცა | 13 | 7 | 1 | 5 | 19:18 | 22 |
| ასკოლი | 13 | 6 | 3 | 4 | 17:17 | 21 |
| ვერონა | 13 | 6 | 2 | 5 | 23:17 | 20 |
| ვიჩენცა | 13 | 6 | 1 | 6 | 21:18 | 19 |
| ალბინოლეფე | 13 | 5 | 4 | 4 | 20:17 | 19 |
| კატანია | 13 | 5 | 3 | 5 | 15:19 | 18 |
| არეცო | 13 | 3 | 7 | 3 | 22:18 | 16 |
| ტრიესტინა | 13 | 4 | 4 | 5 | 18:21 | 16 |
| ჩეზენა | 13 | 4 | 4 | 5 | 15:19 | 16 |
| კატანძარო | 13 | 4 | 3 | 6 | 15:19 | 15 |
| ტრევიზო | 13 | 4 | 3 | 6 | 14:19 | 15 |
| ტერნანა | 13 | 4 | 3 | 6 | 13:18 | 15 |
| მოდენა | 13 | 5 | 2 | 6 | 13:15 | 13 |
| ბარი | 13 | 3 | 5 | 5 | 10:12 | 13 |
| ვენეცია | 13 | 3 | 4 | 6 | 11:16 | 13 |
| პესკარა | 13 | 3 | 4 | 6 | 12:18 | 13 |
| კროტონე | 13 | 3 | 3 | 7 | 12:18 | 12 |
| სალერნიტანა | 13 | 2 | 4 | 7 | 12:25 | 10 |

*„მოდენას" დაკლებული აქვს 4, „ბარის" 1 ქულა*

### სერია C1/A

XI ტური: გროსეტო — ლუმეცანე 0:1; მანტოვა — პრო პატრია 0:0; ნოვარა — აკირეალე 0:2; პიზა — პავია 0:1; პრატო — კრემონეზე 0:1; სანჯოვანეზე — ფროზინონე 0:0; ს. ტორესი — კომო 1:0; სპეცია — ლუკეზე 1:0; ვიტორია — პისტოიეზე 0:0

### სერია C1/B

XI ტური: ბენევენტო — პეზარო 1:0; კიეტი — ლანჩანო 0:0; პადოვა — ჩიტადელა 2:0; რეჯანა — მარტინა 5:1; რიმინი — ჯულიანოვა 3:1; სორა — ფერმანა 4:6; სპალ — ფოჯა 1:1; ტერამო — ნაპოლი 1:1. სამბენედეტეზე — აველინო დღეს გაიმართება

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XIII ტური

**ფულემი 1:4 ჩელსი**

0:1 ლამპარდი (33), 1:1 დიოპი (57), 1:2 რობენი (59), 1:3 გალასი (73), 1:4 ტიაგუ (81)
ფულემი: კროსლი, ვოლცი, ნაითი, რემანი, ბოკანეგრა, მალბრანკი, პემბრიჯი (მაკბრაიდი 72), პ. ბ. დიოპი, ბოა მორტე, რაძინსკი, ენდი კოული
მწვრთნელი: კრის კოულმენი
ჩელსი: პ. ჩეხი, პ. ფერეირა, რ. კარვალიუ, ტერი, გალასი, სმერტინი (ტიაგუ 63), მაკელელე, ლამპარდი, დაფი (კეჟმანი 76), რობენი, გუდიონსენი (მუთი 83)
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
გაფრთხილება: მაკელელე, ლამპარდი
მსაჯი: რენიე
21 877 მაყურებელი

**ტოტენჰემი 4:5 არსენალი**

1:0 ნაიბეტი (37), 1:1 ანრი (45), 1:2 ლორენი (55პ), 1:3 ვიეირა (60), 2:3 დეფო (61), 2:4 ლიუნგბერგი (69), 3:4 კინგი (74), 3:5 პირესი (81), 4:5 კანუტი (88)
ტოტენჰემი: პ. რობინსონი, პამარო, ნაიბეტი, კინგი, ედმანი, პ. მენდეში (ს. დევისი 68), მ. ბრაუნი (კანუტი 76), კარიკი, ციგლერი, რობი კინი (ე. გარდნერი 90), დეფო
მწვრთნელი: მარტინ იოლი
არსენალი: ი. ლემანი, ლორენი, კ. ტურე, სიგანი, ეშლი კოული, ლიუნგბერგი, ვიეირა, ფაბრეგასი, რეიესი (პირესი 68), ანრი, ბერგკამპი (ვან პერსი 82)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: ნაიბეტი, ციგლერი, ბრაუნი
მსაჯი: ბენეტი
36 095 მაყურებელი

**ლივერპული 3:2 კრ. პალასი**

1:0 ბაროში (23პ), 1:1 კოლკა (44), 2:1 ბაროში (45), 2:2 ჰიუზი (52), 3:2 ბაროში (90პ)
| ლეიშოეში | 10 | 4 | 3 | 3 | 11:9 | 15 |
| ალვერკა | 10 | 4 | 1 | 5 | 6:7 | 13 |
| ვარზიმი | 10 | 3 | 3 | 4 | 8:13 | 12 |
| პორტიმონენსე | 10 | 3 | 2 | 5 | 12:12 | 11 |
| ფეირენსე | 10 | 3 | 2 | 5 | 9:15 | 11 |
| ფელგეირაში | 10 | 2 | 3 | 5 | 7:10 | 9 |
| გონდომარი | 10 | 2 | 3 | 5 | 8:12 | 9 |
| ესპინიუ | 10 | 2 | 3 | 5 | 11:16 | 9 |
| შავეში | 10 | 2 | 2 | 6 | 4:12 | 8 |
| სანტა კლარა | 10 | 2 | 1 | 7 | 10:19 | 7 |

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. 17 ნოემბერი. ევროპა

### პორტუგალია — ლუქსემბურგი

#### პორტუგალია

*მეკარეები: რიკარდუ პერეირა (სპორტინგი), კიმ სილვა (ბენფიკა);*
*მცველები: მიგელ მონტეირუ (ბენფიკა), ჟორჟე ანდრადე (დეპორტივო, ესპანეთი), მარკუ კანეირა (ვალენსია, ესპანეთი), პაულუ ფერეირა (ჩელსი, ინგლისი), რიკარდუ კარვალიუ (ჩელსი, ინგლისი), ჟორჟე რიბეირუ (ჟილ ვისენტე);*
*ნახევარმცველები: დეკო სოუზა (ბარსელონა, ესპანეთი), არმანდუ პეტიტი (ბენფიკა), ფრანსისკო კოშტინია (პორტუ), მანიშე რიბეირუ (პორტუ), ტიაგუ მენდეში (ჩელსი, ინგლისი), კრისტიანო რონალდო (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), უგო ალმეიდა (პორტუ);*
*თავდამსხმელები: ელდერ პოსტიგა (პორტუ), ლუიშ ბოა მორტე (ფულემი, ინგლისი), პედრუ პაულეტა (პსჟ, საფრანგეთი), სიმაო საბროსა (ბენფიკა)*

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. 17 ნოემბერი. სამხრეთ ამერიკა

### არგენტინა — ვენესუელა

#### არგენტინა

*მეკარეები: რობერტო აბონდანსიერი (ბოკა ხუნიორსი), ლეო ფრანკო (ატლეტიკო, ესპანეთი);*
*მცველები: ხავიერ ძანეტი (ინტერი, იტალია), გონსალო როდრიგესი (ვილიარეალი, ესპანეთი), გაბრიელ მილიტო (სარაგოსა, ესპანეთი), ფაბრიციო კოლოჩინი (მილანი, იტალია), დიეგო პლასენტე (ლევერკუზენი, გერმანია);*
*ნახევარმცველები: ესტებან კამბიასო (ინტერი, იტალია), ხუან პაბლო სორინი (კრუზეირო, ბრაზილია), ლიონელ სკალონი (დეპორტივო, ესპანეთი), მაქსი როდრიგესი (ესპანიოლი, ესპანეთი), ანდრეს დალესანდრო (ვოლფსბურგი, გერმანია), ხუან რომან რიკელმე (ვილიარეალი, ესპანეთი), ლუის გონსალესი (რივერ პლეიტი), ხავიერ მასკერანო (რივერ პლეიტი), სანტიაგო სოლარი (რეალი, ესპანეთი);*
*თავდამსხმელები: ხავიერ სავიოლა (მონაკო, საფრანგეთი), ლუჩანო ფიგეროა (კრუზ ასული, მექსიკა), ლუჩანო გალეტი (სარაგოსა, ესპანეთი), სესარ დელგადო (კრუზ ასული, მექსიკა)*

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. კონკაკაფი

### II საკვალიფიკაციო წრე C ჯგუფი. V ტური

**სენტ კიტსი 0:5 მექსიკა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მექსიკა | 5 | 5 | 0 | 0 | 19:1 | 15 |
| ტრინიდადი | 5 | 3 | 0 | 2 | 10:8 | 9 |
| სენტ ვინსენტი | 5 | 2 | 0 | 3 | 4:10 | 6 |
| სენტ კიტსი | 5 | 0 | 0 | 5 | 2:16 | 0 |

## ნორვეგია

### გადასასვლელი პლეი ოფი პირველი მატჩი

**ბოდიო გლიმტი 4:0 კონგსვინგერი**

## ხორვატია

### ნაციონალლიგა. XV ტური

ოსიეკი — პულა 2:1; დინამო — ვარტექსი 2:1; ზადარი — რიეკა 2:2; სლავენი — ინტერი 2:1; კამენი — პაიდუკი 2:1; მედიმურიე — ზაგრები 0:1

# ესპანეთისთვის ესპანეთიდან

## ბექემს ნეკანი მოურჩა, ოუენს უგოლობა





მაიკლ ოუენი და დევიდ ბექემი სვენ გორან ერიქსონმა საესპანეთოდ გამოიძახა

ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა, სვენ გორან ერიკსონმა ესპანეთის წინააღმდეგ დაგეგმილი ამხანაგური შეხვედრისთვის გამოძახებულ ფეხბურთელთა შორის დევიდ ბექემიც ჩაწერა. შეგახსენებთ, რომ „რეალის“ ნახევარმცველს გაბზარული ნეკნის გამო თითქმის ერთი თვეა, მოედანზე ფეხი არ შეუდგამს, ნეკნი კი მან ოქტომბერში, უელსთან თამაშის დროს დაიზიანა.

უელსისა და აზერბაიჯანის ნაკრებებთან არ უთამაშია უეინ ბრიჯსაც, რომელიც ახლა მეტიუ აპსონთან და კრის კირკლანდთან ერთად ბრუნდება.

სამაგიეროდ, არ იქნებიან ლედლი კინგი და სოლ კემპბელი, რომელთაც ტრავმა აწუხებთ, კირონ დაიერისთვის კი უბრალოდ ნაკრებში ადგილი არ მოიძებნა.

„ძალიან სასიამოვნოა დევიდი რომ გვიბრუნდება — განაცხადა სვენ გორან ერიკსონმა — ეჭვი არ მეპარება, რომ ის და მაიკლ ოუენი, როგორც ესპანეთის ჩემპიონატის მონაწილე ფეხბურთელები, ამ დროს განსაკუთრებით მოტივირებულნი იქნებიან. ძალიან მიხარია, მაიკლმა „რეალის“ შემადგენლობაში გოლების გატანა რომ დაიწყო. ოუენის წარმატებაში არასდროს შემპარვია ეჭვი“.

შემდეგ ინგლისელების შვედმა მწვრთნელმა კინგისა და კემპბელის არყოფნაზეც ილაპარაკა:

„დიდი ბედნიერებაა, როდესაც ბევრი ბრწყინვალე ფეხბურთელი გყავს და მათგან არჩევა შეგიძლია. დაცვის ცენტრში შეიძლება ითამაშონ რიო ფერდინანდმა, ჯონ ტერიმ, ჯეიმი კარაგერმა და მეტიუ აპსონმა. თითოეული მათგანი ტოპ-კლასის ფეხბურთელია. რაც შეეხება უეინ ბრიჯს, მისი დაბრუნება მარცხენა ფრთაზე საინტერესო ვარიანტებს გვთავაზობს“.

**პაპუნა ძედია**

### ამხანაგური მატჩი. 17 ნოემბერი

### ესპანეთი — ინგლისი

**ინგლისი:**

*მეკარეები: პოლ რობინსონი (ტოტენჰემი), დევიდ ჯეიმსი (მანჩესტერ სიტი), კრის კირკლანდი (ლივერპული);*

*მცველები: ეშლი კოული (არსენალი), მეთიუ აპსონი (ბირმინგემი), უეინ ბრიჯი (ჩელსი), ჯონ ტერი (ჩელსი), ჯეიმი კარაგერი (ლივერპული), რიო ფერდინანდი (მანჩესტერ იუნაიტედი), გარი ნევილი (მანჩესტერ იუნაიტედი);*

*ნახევარმცველები: ფილ ნევილი (მანჩესტერ იუნაიტედი), ჯერმენ ჯენასი (ნიუკასლი), დევიდ ბექემი (რეალი, ესპანეთი), ოუენ ჰარგრივსი (ბაიერნი, გერმანია), ნიკი ბათი (ნიუკასლი), ჯო კოული (ჩელსი), ფრენკ ლამპარდი (ჩელსი), შონ რაიტ-ფილიპსი (მანჩესტერ სიტი);*

*თავდამსხმელები: უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი), ალან სმიტი (მანჩესტერ იუნაიტედი), მაიკლ ოუენი (რეალი, ესპანეთი), ჯერმენ დეფო (ტოტენჰემი)*

# ჯერ ნაციონალე, მერე ხელფასი

## ლიპი ვარსკვლავებშიც ვარსკვლავია

*მარჩელო ლიპის ხელფასი სვენ გორან ერიკსონის ხალფასის მეოთხედია, მაგრამ იტალიის ნაკრების მწვრთნელი ბრძანებს, რომ როდესაც თავისი ქვეყნის ეროვნული გუნდი მოედანზე გაჰყავს, ჯადოსნური გრძნობა ეუფლება*

„ჩემთვის მადრიდიდან სამუშაო რომ შემოეთავაზებინათ და არჩევანი იტალიის ნაკრებსა და თვით „რეალს“ შორის მქონოდა გასაკეთებელი, წამითაც არ ვიყოყმანებდი, ნაკრებს ავირჩევდი — განაცხადა „იუვენტუსის“ ყოფილმა თავკაცმა — იტალიის ეროვნული გუნდი ჩემთვის ყოველთვის პირველი იქნება. მეორე მხრივ კი, ვთქვათ, საქმე ასარჩევად იმავე „რეალსა“ და ინგლისის ან შოტლანდიის ნაკრებებს შორის რომ მქონოდა, „რეალში“ წავიდოდი“.

ეს სიტყვები ჯოვანი ტრაპატონის შემცვლელად ჯერ კიდევ როდის ნაწინასწარმეტყველებმა ლიპიმ ფრანგულ ჟურნალ „ეკიპს“ უთხრა.

„უხელმძღვანელო საკუთარი ქვეყნის ნაკრებს — ეს ჯადოსნურია. „ნაციონალე“ ყველაფერზე მაღლა დგას. ამ სამსახურში ყოფნა უდიდესი პატივია და ხელფასი ხელს ვერ შემიშლის. თანხა, რომელსაც დღეს ვიღებ, იმის ნახევარია, რასაც „იუვეში“ ვიღებდი“.

ცნობისთვის: მარჩელო ლიპის ხელფასი სეზონში 700 ათასი ინგლისური გირვანქის ტოლია, ხოლო ეს თანხმა ინგლისურად იმიტომ ვთქვით, რომ იგი ინგლისის ნაკრების შვედი მწვრთნელის, სვენ გორან ერიკსონის ხელფასს, წლიურ სამ მილიონს, მოხერხებულად შევადაროთ.

ლიპი: „მწვრთნელიც შეიძლება გუნდის ერთ-ერთი ვარსკვლავთაგანი იყოს, თუმცა ფრთხილად უნდა იყოს, ფეხბურთელების ინდივიდუალობა რომ არ დათრგუნოს. სიყმაწვილეში ასეთი მწვრთნელი მყავდა — ფულვიო ბერნარდინი, ბრძენი და გამჭრიახი კაცი, იმავდროულად ძლიერი ხასიათის მქონე. მას შეეძლო ცენტრალური ფიგურა ყოფილიყო, ოღონდ, იმავდროულად სხვებისადმი უდიდესი პატივისცემა გამოეხატა. ეს მწვრთნელის ნამდვილი ღირსებაა“.

ლიპი მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატისთვის ამზადებს იტალიის ნაკრებს, მაგრამ მერე რა მოხდება?

„ჩემი სახელი „იუვენტუსთან“ ისე მჭიდროდ არის დაკავშირებული, რომ სხვა დიდ იტალიურ კლუბს ძნელად თუ ჩავუდგები სათავეში. სამაგიეროდ, ყოველთვის შემიძლია უფრო პატარა კლუბში დავიწყო მუშაობა ან სულაც უცხოეთში წავიდე“ — პასუხობს ლიპი.

**პაპუნა ძედია**






30 წლის რაიან გიგზმა უარი თქვა „მანჩესტერის“ შემოთავაზებაზე, შენს მიმდინარე კონტრაქტს ერთწლიანი წავუმატოთო.

გიგზი, რომელსაც 500-ზე მეტი მატჩი უთამაშია გუნდში და მთელი კარიერაც მხოლოდ „მანჩესტერში“ აქვს გატარებული, უკმაყოფილოა: „ასეთი რამ არ მომწონს. მგონი, დაფიქრდებიან და უფრო ხანგრძლივ კონტრაქტს შემომთავაზებენ. მე ლოდინის მეტი ჯერჯერობით არაფერი დამრჩენია“.

**ირაკლი ბამყრელიძე**

# ნავთი იქა, ფული აქა

ლონდონურ „ჩელსიში“ განუზრახავთ, რომ კლუბის ფული მისი მეპატრონის, რომან აბარმოვიჩის ნავთობფულებისგან გამოაცალკევონ. გარდა ამისა, ჩელსელებს ჟოზე მაურინიუს ათი წლით დატოვებაც უნდათ.

ეს განზრახვანი „სანდი ტელეგრაფმა“ გამოამზეურა პიტერ კინიონის სიტყვებზე დაყრდნობით. კინიონი კი, მოგეხსენებათ, კლუბის აღმასრულებელი დირექტორია, რომელიც აბრამოვიჩმა შარშან „მანჩესტერს“ წაჰგვარა.

მაურინიუსთან დაკავშირებით ყველაფერი გასაგები უნდა იყოს, საკმარისია მის დამსახურებათა ნუსხას გადახედოთ.

კლუბის ფინანსური დამოუკიდებლობის სურვილის მიზეზი კი, ვინძლო ის იყოს, რომ კლუბის მომავალი ერთი კაცის განწყობაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცსკა-მ ქართულ სარკეში ჩაიხედა

## ცინცაძემ თავისიანებს თავი დაანახა



გიორგი ცინცაძე რუსულ მოედნებს ეჩვევა

**გუშინწინ** რუსეთის ჩემპიონატში საინტერესო მატჩი გაიმართა. არმიულ დერბიში მოსკოველები სამარელებს ხვდებოდნენ და ეს მატჩი ჩვენთვის იმით გამოირჩა, რომ მასში ერთხელაც გამოანათა ახალგაზრდა ქართველმა გამთამაშებელმა გიორგი ცინცაძემ, რომელსაც, მართალია, ბევრი არ უთამაშია, მაგრამ 10 წუთის კვალობაზე მართლაც ბევრი გააკეთა.

რუსეთში სამარულ ცსკა-ვე-ვე-ეს-ს მოსკოვის ცსკა-ს ფარმ-კლუბსაც ეძახიან, რაკი არმიულ „ფესვებს" რომ თავი გავანებოთ, ამ გუნდებს გადაფუსკვნილი ძმობა აკავშირებთ. ამ ზაფხულს მოსკოვის ცსკა-მ სამარულ გუნდში მწვრთნელ დუშან ივკოვიჩის თანაშემწე პაველ გოოგე გაუშვა და მას ერთბაშად რვა ახალგაზრდა მოთამაშეც მიაყოლა. მათგან ორმა, რუსეთის ამომავალმა ვარსკვლავმა იგორ ვიალცევმა და გიორგი ცინცაძემ სამარელთა ძირითად გუნდში დაიმსახურა ადგილი, დანარჩენები კი დუბლიორებში გადანაწილდნენ. სანამ მოსკოველები თავიანთ ბიჭებს უკან წაიყვანდნენ, ისინი რუსეთის სუპერლიგაში იწრთობიან და აუტსაიდერ „სამარაში" სათამაშო დროის უქონლობასაც არ უჩივიან.

ჰოდა, აგერ, ცინცაძეს შანსი მიეცა, მოსკოველი შეფობისთვის დაემტკიცებინა, რომ სამარაში უქმად არ არის. მატჩის შედეგს მნიშვნელობა არავისთვის ჰქონდა, რადგან მოსკოვურ გრანდს არათუ რუსეთში, ევროპაშიც ძლივს გამოეძებნება კონკურენტი და სამარაში „უმცროსი ძმისგან" სინით მორთმეული ორი ქულა ელოდა. ასეც მოხდა. ცსკა-მ 88:57 გაანადგურა „სამარა", მაგრამ ისიც დაინახა, რომ გიორგი ცინცაძეს ცსკა-ს ევროპელი ვარსკვლავების არ შეშინებია და ჩვენებურს რა შანსიც მიეცა, ბოლომდე გამოიყენა.

ცინცაძე, როგორც ვთქვით, 10 წუთი ათამაშეს და ამ ხნის განმავლობაში 7 ქულის, 6 პასის, 2 ჩაჭრისა და ერთი მოხსნის გაკეთება მოახერხა. ასეთი შედეგიანობა, თუნდაც უიმედოდ წაგებულ მატჩში დიდი მიღწევა და სტიმულია 18 წლის ყმაწვილისთვის.

აი, ვისაც ასაკი და გამოცდილება არ აკლია, ის კი რიხით თამაშობს რუსეთის მოედნებზე. შემონდ უილიამსმა და მისმა „უნიკსმა" გასულ კვირაში ორი გაჭრილი ვაშლივით მსგავსი მატჩი ითამაშეს — ერთი რუსულ სუპერლიგაში და ერთიც ფიბა-ევროლიგაში. უილიამსმა ორივეში 20-20 ქულა ჩააგდო, მაგრამ რად გინდა, ყაზანელებმა ორივე მატჩი 82:84 წააგეს.

როგორც იქნა, სლოვენიაში ამოქმედდა დავით უგრეხელიძე. უფრო ზუსტნი თუ ვიქნებით, „უგრეს" უკვე ნდობა გამოუცხადეს, თორემ ის აქამდეც ჩინებულად თამაშობდა „პივოვარნაში". ადრიატიკის ლიგის ბოლო ტურში „მელუდეებმა" სერბული „რეფლექსი" დაამარცხეს, უგრეხელიძემ კი „პივოვარნაში" სარეკორდოდ ბევრი, 28 წუთი ითამაშა და მართალია, ქულები ბლომად არ მოუგროვდა, მაგრამ ფარქვეშ ბადალი არ ჰყავდა.

ადრიატიკის ლიგაში იმარჯვა „ოლიმპიამაც", რაშიც მნიშვნელოვანი წილი მიუძღვის ვლადიმერ ბოისას, ხოლო მანუჩარ მარკოიშვილმა თამაშის უმეტესობა ისევ სკამზე გაატარა.

მანომ შედარებით მეტი ითამაშა „ბარსელონასთან" საევროლიგო მატჩში. მან კატალონიელებს 11 წუთში 3 ქულა ჩაუგდო და მოედანზე მეორედ შეხვდა ევროპული კალათბურთის „ჯორდან" დეიან ბოდიროგას. ადრე მარკოიშვილი გაცილებით საპასუხისმგებლო მატჩში შეერკინა სახელოვან სერბს — შარშანწინ ევროლიგის ფინალში „ბარსელონამ" იმხანად მარკოიშვილის „ბენეტონი" დაამარცხა.

„ოკეანგაღმელი" ქართველებისგან კი ჯერჯერობით კარგი არაფერი ისმის. ერთი ზაზა ფაჩულიას წარმატებები გვახარებდა, მაგრამ ბოლო ორი თამაშია, იგი მოედანზე არ გამოჩენილა. მილუოკელთა ცნობით, ფაჩულიას ტერფის ტრავმის გამო არ უთამაშია, რაც სარწმუნო ამბავია, რადგან, როცა ქართველი ცენტრი ჯანზე იყო, „ბაქსის" მწვრთნელი მას ყოველთვის ენდობოდა. ფაჩულიას „საქმესთან" დაკავშირებით ისაა კარგი, რომ სანამ მუხლს მკურნალობს, მისი ვერც ერთი კონკურენტი ამით ვერ სარგებლობს. ბოლო მატჩებში „მილუოკის" ორივე ცენტრს მიეცა შანსი, მაგრამ ვერც დან გატურიჩმა გააკეთა რაიმე ღირებული და ვერც დანიელ სანტიაგომ.

ამასობაში კი ნიკოლოზ ცქიტიშვილმა მუხლი მოიმუშა და ამ სეზონში პირველი მატჩიც გამართა. ნიკა დაშავებულთა სიიდან „დეტროიტთან" მატჩის წინ ამოწერეს და მან მოქმედ ჩემპიონთან 8 წუთიც ითამაშა, ოღონდ, მის კეთილისმსურველებს რომ გაგვიხარდება, ისეთი არაფერი გაუკეთებია.

ვლადიმერ სტეფანიაც მოდის ჯანზე — თუმცა ის ჯერ არ ჩაუსვიათ „პორტლენდის" განაცხადში და ვოვას საამსეზონო დებიუტი ჯერაც წინ აქვს.

**ირაკლი პერტაია**

| სახელი გვარი | გუნდი | ტურნირი | მეტოქე | სად | ანგარიში | წთ | ქ | მ | პ | ჩ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გიორგი ცინცაძე | სამარა | სუპერლიგა (რუსეთი) | ცსა | შ | 57:88 | 10 | 7 | 1 | 6 | 2 |
| შემონდ უილიამსი | უნიკსი | სუპერლიგა (რუსეთი) | დინამო (მოსკოვი) | შ | 82:84 | 34 | 20 | 4 | 3 | 0 |
| | | ფიბა-ევროლიგა | ნიმბურკი (ავსტრია) | შ | 82:84 | 36 | 20 | 4 | 8 | 3 |
| ზვიად ბაბიშვილი | გალა | ფიბა-ევროპის თასი | შაულიაი | ს | 85:108 | 15 | 2 | 5 | 1 | 0 |
| ვლადიმერ ბოისა | ოლიმპია | ადრიატიკის ლიგა | ჰელიოსი | შ | 80:74 | 30 | 9 | 5 | 2 | 0 |
| | | ევროლიგა | ბარსელონა | შ | 69:83 | 35 | 8 | 9 | 0 | 0 |
| მანუჩარ მარკოიშვილი | ოლიმპია | ადრიატიკის ლიგა | ჰელიოსი | შ | 80:74 | 5 | 2 | 0 | 0 | 2 |
| | | ევროლიგა | ბარსელონა | შ | 69:83 | 11 | 3 | 2 | 0 | 0 |
| დავით უგრეხელიძე | პივოვარნა | ადრიატიკის ლიგა | რეფლექსი | შ | 81:71 | 28 | 5 | 9 | 0 | 2 |
| ვიქტორ სანიკიძე | დიჟონი | PRO A. საფრანგეთი | შალონი | ს | 102:108 | 8 | 5 | 5 | 0 | 0 |
| | | ფიბა-ევროლიგა | ბრაუნშვაიგი | ს | 80:63 | 16 | 2 | 2 | 0 | 0 |
| გიორგი მდივანი | ეპინალი | PRO B. საფრანგეთი | რეილი | შ | 79:73 | 13 | 8 | 6 | 1 | 0 |
| ზაზა ფაჩულია | მილუოკი | ნბა რეგულარული ჩემპ. | შარლოტი | შ | 104:102 | ტრავმირებულია | | | | |
| ნიკა ცქიტიშვილი | დენვერი | ნბა რეგულარული ჩემპ. | დეტროიტი | შ | 108:88 | 8 | 0 | 0 | 0 | 1 |

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; ს — სტუმრად; შ — შინ

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

— 12 ნოემბერი —

**ორლანდო 122:113 ლეიკერსი**
ორლანდო: ფრენსისი (32 ქულა, 9 პასი, 8 მოხსნა), ჰილი (27 ქულა, 12 მოხსნა), თურქოღლუ (23), გარიტი (21)
ლეიკერსი: ბრაიანტი (41 ქულა, 8 პასი, 7 მოხსნა), ეტკინსი (21)

**ფილადელფია 104:106 ინდიანა**
ძირითადი დრო 100:100
ფილადელფია: კორველი (23), ჯეკსონი (21 ქულა, 10 მოხსნა)
ინდიანა: ონილი (39), არტესტი (29)

**სიეტლი 88:87 ტორონტო**
სიეტლი: ალენი (29), დანიელსი (16)
ტორონტო: ბოში (19)

**ნიუ ორლეანი 95:96 ატლანტა**
ნიუ ორლეანი: დევისი (18)
ატლანტა: უოლკერი (27)

**სან ანტონიო 93:84 მაიამი**
სან ანტონიო: ჯინობილი (29), პარკერი (18), დანკანი (17 ქულა, 13 მოხსნა)
მაიამი: ონილი (23 ქულა, 21 მოხსნა)

**ნიუ იორკი 110:96 კლიპერსი**
ნიუ იორკი: მარბერი (21 ქულა, 10 პასი, 7 მოხსნა), კროუფორდი (19)
კლიპერსი: მეჯიტი (29), ვილკოქსი (21), ბრენდი (20)

**ბოსტონი 91:74 შარლოტი**
ბოსტონი: დევისი (19), პეიტონი (15)
შარლოტი: ჰაუსი (15)

**მემფისი 96:67 გოლდენ სტეიტი**
მემფისი: გასოლი (14 ქულა, 11 მოხსნა)
გოლდენ სტეიტი: ნახერა (16)

— 13 ნოემბერი —

**მილუოკი 94:91 ნიუ ორლეანი**
მილუოკი: უილიამსი (6), რედი (30), ვან ჰორნი (17), სმიტი (15 ქულა, 11 მოხსნა), გატურიჩი (5); მეისონი (17), სტრიკლენდი (4), სანტიაგო, კუკოჩი
ფაჩულიას არ უთამაშია
ნიუ ორლეანი: არმსტრონგი (21), ვესლი (12 ქულა, 10 პასი), ლინჩი (8), ბრაუნი (10), მაგლუა (12); ვესტი (8), ნეილონი (7), გარსია (7), ანდერსენი (6)

**პორტლენდი 105:102 ტორონტო**
პორტლენდი: [illegible] (27 ქულა, 11 მოხსნა), სტუდემაიერი (20), ანდერსონი (19)
სტეფანია განაცხადში არ იყო
ტორონტო: ალსტონი (27), როუზი (21), ბოში (17)

**ჰიუსტონი 79:84 ლეიკერსი**
ჰიუსტონი: მინგი (32), ჯეკსონი (15)
ლეიკერსი: ოდომი (20 ქულა, 13 მოხსნა), ბრაიანტი (19 ქულა, 11 მოხსნა)

**ფინიქსი 111:113 საკრამენტო**
ფინიქსი: ნეში (29), სტუდემაიერი (29)
საკრამენტო: ვებერი (28 ქულა, 10 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (23), ბიბი (20)

**იუტა 108:93 დეტროიტი**
იუტა: ბუზერი (20 ქულა, 13 მოხსნა), ოქური (19), კირილენკო (17)
დეტროიტი: ჰამილტონი (21), მაკდაიესი (18 ქულა, 12 მოხსნა)

**ნიუ ჯერსი 78:94 დალასი**
ნიუ ჯერსი: ჯეფერსონი (28 ქულა, 10 მოხსნა), პლანინიჩი (16)
დალასი: ნოვიცკი (31), სტექჰაუზი (28)

**შარლოტი 87:103 გოლდენ სტეიტი**
შარლოტი: ვოლესი (22 ქულა, 10 მოხსნა), ჰაუსი (20)
გოლდენ სტეიტი: რიჩარდსონი (27), მერფი (22 ქულა, 16 მოხსნა)

**ინდიანა 103:97 ნიუ იორკი**
ინდიანა: ონილი (33 ქულა, 12 მოხსნა, 5 დაფარება), არტესტი (22), ჯეკსონი (19)
ნიუ იორკი: მარბერი (37), მუჰამედი (20 ქულა, 15 მოხსნა)

**ჩიკაგო 96:97 კლიპერსი**
ჩიკაგო: კარი (20 ქულა, 11 მოხსნა), ჩანდლერი (17 ქულა, 13 მოხსნა)
კლიპერსი: მეჯიტი (23), იარიჩი (19)

**ატლანტა 88:103 სან ანტონიო**
ატლანტა: უოლკერი (23 ქულა, 10 მოხსნა)
სან ანტონიო: დანკანი (26 ქულა, 18 მოხსნა), ბოუენი (22)

**კლივლენდი 105:74 ვაშინგტონი**
კლივლენდი: ჯეიმსი (24), ილგაუსკასი (21), გუდენი (14 ქულა, 15 მოხსნა)
ვაშინგტონი: არენასი (25)



REUTERS

კლიპერსელი კორი მეჯიტი ნიუიორკულ თაღში

| აღმოსავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ტორონტო | 4 | 2 | 66,7 |
| ბოსტონი | 3 | 2 | 60,0 |
| ფილადელფია | 3 | 3 | 50,0 |
| ნიუ იორკი | 2 | 3 | 40,0 |
| ნიუ ჯერსი | 2 | 4 | 33,3 |
| **ცენტრალური** | | | |
| მილუოკი | 3 | 1 | 75,0 |
| ინდიანა | 5 | 2 | 71,4 |
| დეტროიტი | 3 | 2 | 60,0 |
| კლივლენდი | 3 | 3 | 50,0 |
| ჩიკაგო | 0 | 3 | 0 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | |
| მაიამი | 4 | 2 | 66,7 |
| ორლანდო | 4 | 2 | 66,7 |
| ვაშინგტონი | 3 | 3 | 50,0 |
| შარლოტი | 1 | 4 | 20,0 |
| ატლანტა | 1 | 5 | 16,7 |

| დასავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| დალასი | 6 | 1 | 85,7 |
| სან ანტონიო | 5 | 1 | 83,3 |
| ჰიუსტონი | 3 | 3 | 50,0 |
| მემფისი | 2 | 4 | 33,3 |
| ნიუ ორლეანი | 0 | 6 | 0 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| სიეტლი | 5 | 1 | 83,3 |
| იუტა | 4 | 1 | 80,0 |
| მინესოტა | 3 | 2 | 60,0 |
| პორტლენდი | 2 | 3 | 40,0 |
| დენვერი | 2 | 4 | 33,3 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ფინიქსი | 4 | 2 | 66,7 |
| კლიპერსი | 3 | 3 | 50,0 |
| ლეიკერსი | 3 | 4 | 42,9 |
| საკრამენტო | 2 | 4 | 33,3 |
| გოლდენ სტეიტი | 1 | 6 | 14,3 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ისროლე, რამდენიც გინდა

## ნინო სალუქვაძემ ტირი გახსნა

ყველა დროის საუკეთესო ქართველ ტყვიის მსროლელ ნინო სალუქვაძეს ბოლო წლებში საერთაშორისო ტურნირებისთვის მოსამზადებლად საზღვარგარეთ უწევდა სიარული. მიზეზი მარტივი და ბანალურია – საქართველოში მსოფლიოს სტანდარტებთან მიახლოებული ტირის არარსებობა. სამშობლოში ყოფნის პერიოდში კი ნინო არმიის სპორტული კლუბის ჩაბნელებულ, ცივ დარბაზში ვარჯიშობდა. ხეირიანი ტირის მოწყობის იდეაც წლების წინ წარმოიშვა, მაგრამ აქამდე არაფრით არ დაადგა საშველი. ამ პრობლემას წერტილი გუშინ დაესვა



ნინო სალუქვაძე და ლეილა მესხი



გიორგი ასანიძე მშვენივრად ისვრის

**ოლიმპიურ** ჩემპიონ ნინო სალუქვაძის სახელობის კლუბი სპორტის დეპარტამენტის სარდაფში გაიხსნა. 10 და 25-მეტრიანი დარბაზები ტყვიის მსროლელთა მომავალი თაობის დასაოსტატებლადაც გამოდგება და უკვე დაოსტატებული მსროლელების დიდი ტურნირებისთვის მოსამზადებლადაც.

გახსნის ცერემონიალზე სპორტულ სარდაფად მონათლულ ტირში ბევრი ცნობილი სახე შეიყარა. გემოვნებით მოწყობილ ბარში ნინოს საქმის დაგვირგვინება მიულოცეს სპორტის სათავეში მყოფმა პირებმა და მოქმედმა სპორტსმენებმა. ნინოს მამამ და პირადმა მწვრთნელმა, ფედერაციის პრეზიდენტმა ვახტანგ სალუქვაძემ კი სამწვრთნელო საქმიანობის ახალ კლუბში გაგრძელებაზე ჩამოაგდო სიტყვა.

„ნახევარი საუკენეა, ამ საქმეს ვემსახურები და ასეთი კეთილმოწყობილი დარბაზი ჯერ თვალით არ მინახავს. ერთ ჯგუფს ავიყვან და ერთ ნინო სალუქვაძეს კიდევ აღვზრდი" — თქვა ვახტანგ სალუქვაძემ.

ახალ კლუბში სამწვრთნელო საქმიანობას გივი ბოსტოლანაშვილიც გასწევს და შეიძლება ბავშვებისთვის თავად ნინომაც მოიცალოს. ამავდროულად იგი თავადაც განაგრძობს ვარჯიშს. 13 წელი სიცივესა და სიბნელეში ვწვალობდი, როგორც იქნა ნორმალური პირობები გვეღირსა და აბა, ახლა თავის დანებება იქნებაო?

პრეზენტაციის ოფიციალური პირველი ნაწილის დასრულების შემდეგ ნინო სალუქვაძე დარბაზებისკენ გაგვიძღვა და მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებგამოვლილი იარაღებით გვასროლინა. პირველი სროლები კი. ბანტიანი პისტოლეტით თავად შეასრულა. საუკეთესო შედეგები მერიის სპორტის სამსახურის უფროს გია უდესიანსა და გიორგი ასანიძეს აღმოაჩნდათ. სხვათა შორის, ათენის ჩემპიონმა სეულის ოლიმპიადის მომგები პისტოლეტით ისროლა.

არაპროფესიონალთა სროლები რამდენიმე საათს გაგრძელდა. დღეიდან ტირი უკვე ჩვეულებრივი გრაფიკით იმუშავებს. დილიდან ხუთ საათამდე სპორტსმენებს მოემსახურება, ხოლო ხუთი საათის შემდეგ ნებისმიერ მსურველს შეეძლება ტირის ბარში დაჯდომა და ხელში პისტოლეტის მომარჯვება.

**ოთარ მაღლაკელიძე**





REUTERS ნიუ იორკიდან

# მარტორქები მედისონ სკვერ გარდენში

**ამერიკამ** თითქოსდა მძიმე წონის ქამრებისთვის მოიცალაო და შაბათ ღამეს ყველაფერი ერთდროულად, თუმცა კი გვარიანად არეულად გადაწყვიტა „მედისონ სკვერ გარდენში". ვინც კი ამერიკას მძიმე წონის მოკრივე ჰყავდა, ყველამ იქ მოიყარა თავი. გასარკვევი გაირკვა, თუმცა, სამართალმა, როგორც დიდ კრივში ხდება ხოლმე, სრულად ეგრეც ვერ ჭამა პური.

ასოციაციის (ვბა) ჩემპიონის ტიტული დაინარჩუნა პუერტორიკოელმა წვეროსანმა ჯონი რუისმა, რომელმაც არცთუ ღირსეული, მაგრამ ჯანიანი და ნაცადი პოლონელი გოლიათი ენდრიუ გოლოტა დაამარცხა. დაამარცხა, მაგრამ ვაი ამ დამარცხებას... საერთოდ, გოლოტას ბედი არა აქვს — რიდიკ ბოუსთან (მგონი საუკუნის წინათ იყო) ორჯერ მოიხსნა ბრძოლიდან, ტაისონთან ულირსი დარტყმებისთვის რინგიდან გაიქცა (რის გამოც ხალხმა ჰამბურგერები დააყარა და წვენები დაასხა თავზე), ახლა კი მართლა მაგრად იჩხუბა. რუისმა შეტევით კი დაიწყო, თუმცა გოლოტამ მეორე რაუნდში ორჯერ დააგდო პუერტორიკოელი, მერე წაქცეულსაც დაატყლა მუშტი. მეოთხეში რუისი გონს მოეგო, შეუდგა თავისებური კლინჩის ტაქტიკას, ოლონდაც რეფერი რენდი ნიუმანმა ქულა აართვა უწესო დარტყმისთვის. რუისის კორნერმენი სტონი სტოუნი მეხუთე რაუნდში რეფერის აუხირდა — მეტოქეს უდგებიო და ცოტა გაწყდა, დარბაზიდან არ გააძევეს. კლინჩობია გაგრძელდა მერვე რაუნდშიც. ისე იყო, რომ მოკრივენი მხოლოდ გონგის შემდეგ ურტყამდნენ ერთმანეთს, რუისის კორნერიდან კი რეფერის კვლავ ლანძღავდნენ.

მეათე რაუნდში გოლოტამ გონგის შემდეგ კეფაში დასთხლიშა რუისს და კვლავ დააგდო. არც ნოკდაუნი ჩაითვალა, მაგრამ არც პოლონელი დაჯარიმდა. რუისმა მაგრად იკრივა ბოლო რაუნდში და სამივე დამთვლელმა მას მიანიჭა უპირატესობა.

იქვე, ფედერაციის (იბფ) ქამარი დაიცვა კრის ბერდმა, რომელსაც ბარე 56 გირვანქით მძიმე ჯამელ მაკლაინი აღუდგა წინ და მეორე რაუნდში დასცა კიდეც. დღევანდელ მძიმეწონოსანთა შორის ყველაზე მსუბუქ და ტექნიკურ ბერდს გვარიანი ოსტატობა დასჭირდა, რომ მეოთხე რაუნდისთვის გონს მოსულიყო და მასზე მძიმე მაკლაინისთვის კისერი მოეგრიხა. მაკლაინის მოქანცულობამ ბერდს უშველა, თუმც ჩემპიონი 10-ე რაუნდში გადარჩა, ბოლო ორში კი დაქანცული მარტორქა მიასავათა. სამი დამთვლელი მსაჯიდან, ბერდს ორმა მისცა ხმა და ქამარიც დაუნარჩუნდა.

„ბრძოლის ჩარხი ალმა დავატრიალე, ამიტომაც ნამდვილი ჩემპიონი ვარ" — თქვა ბერდმა, რომელსაც მართლა არ შესწევდა იმის ღონე, რომ მაკლაინი ნოკაუტში ჩაეგდო და უმძიმეს ბრძოლაში ტექნიკით იმარჯვა.

იმავ ღამით, თავისი ბოლო რვა ბრძოლიდან მეხუთე წააგო 42 წლის ევანდერ ჰოლიფილდმა, რომელიც ქულებით, პირწმინდად დამარცხდა და ლარი დონალდთან. თუმცა ძველი დროის დიდი მოკრივე არ ნაღვლობს, რომ კარიერაში 8 წაგება მოუგროვდა, რინგზე კვლავაც გავერთობიო, აცხადებს.

თავისი საქმისა თვითონ იცის. უბრალოდ, ლარი დონალდთან ასე წაგება სირცხვილია: იმასაც, თავისი ბოლო 5 ბრძოლიდან 2 მარცხი უწვნევია არცთუ მაგარ ვინმეებთან.

კიდევ ერთმა ძველმა ჩემპიონმა, ჰასიმ რაჰმანმა 4 რაუნდში დაშალა ავსტრალიელი კალი მიჰანი და ახლა სამ დიდ დაწესებულებაში პირველ პრეტენდენტად ითვლება — ანუ რუისს, ბერდსა და კლიჩკო-უფროსს (ვბკ) როცა მოესურვება, მაშინ მოსთხოვს ბრძოლას.

მაშ, მაგარი ღამე იყო ნიუ იორკში.

**ალბერტ ხაჩატურაშვილი**



REUTERS ნიუ იორკიდან

კრის ბერდი ჯამელ მაკლაინს გვემს

## დაბლტიეის ჩემპიონატი

ლოს ანჯელესი. ხელოვნური საფარი. საპრიზო 3 მილიონი $

# ამელი მორესმო ლოს ანჯელესშიც მოსკოვშია

**ჯგუფური ეტაპი**

**წითელი ჯგუფი**

12 ნოემბერი

**ანასტასია მისკინა (3, რუსეთი)** — ლინდსი დევენპორტი (1, აშშ) 7:6 (7:5), 6:4

13 ნოემბერი

**დევენპორტი** — სერენა უილიამსი (7, აშშ) 7:5, 6:1; **მისკინა** — ელენა დემენტიევა (5, რუსეთი) 6:3, 6:3

| | თამ. | სეტი |
|---|---|---|
| მისკინა | 2-1 | 5-2 |
| უილიამსი | 2-1 | 5-3 |
| დევენპორტი | 2-1 | 4-3 |
| დემენტიევა | 0-3 | 0-6 |

**შავი ჯგუფი**

12 ნოემბერი

**ამელი მორესმო (2, საფრანგეთი)** — სვეტლანა კუზნეცოვა (4, რუსეთი) 6:3, 6:2; **მარია შარაპოვა (6, რუსეთი)** — ვერა ზვონარიოვა (8, რუსეთი) 6:4, 7:5

13 ნოემბერი

**მორესმო** — შარაპოვა 7:5, 6:4

| | | |
|---|---|---|
| მორესმო | 3-0 | 6-0 |
| შარაპოვა | 2-1 | 4-2 |
| კუზნეცოვა | 1-2 | 2-4 |
| ზვონარიოვა | 0-3 | 0-6 |

იმის მიუხედავად, რომ სერენა უილიამსს უჩინებულესად სძლია, აშქრის ალბათ-მხოლოდ-დღევანდლამდე-პირველოსანმა ლინდსი დევენორტმა წითელი ჯგუფიდან გასვლა მაინც ვერ შეძლო. ვერ შეძლო, რადგანაც სერენასა და მისკინას მსგავსად ერთი წაგების წილ ორი მატჩის მომგებმა მათგან განსხვავებით არა ხუთი, არამედ მხოლოდ ოთხი სეტი მოაქუჩა. ხოლო ალბათ-მხოლოდ-დღევანდლამდე-პირველოსნად ლინდსი დევენპორტი იმიტომ მოვიხსენიეთ, რომ საიმისოდ, რათა მისთვის სეფეჩოგანი ჩამოერთმია, ამელი მორესმოს ფინალში მოხვედრაც ჰყოფნიდა. ფინალამდე კი ფრანგს ამ დილით მხოლოდ სერენალა ჰყავდა გასავლელი, რაიც — მისი ამჟამინდელი ყუმბარფორმის გათვალისწინებით — ჰაი-ჰაი, რომ არ უნდა გასჭირვებოდა. თქვენ თუ რამეს სხვაგვარად ფიქრობდით, აგაშენათ ღმერთმა, ცოტა შეეიცადოთ და თუკი მართალი თქვენ გამომდგარხართ და ჩვენი დროით დღეს დილითკენ სერენა გაფინალებულა, ჩოგანიც მიკაკავს და ჩვენებურ დუქანში ერთი ფაინთიც ჩამიკოკლოზინებია.

ისე კი, დევენპორტს უთქვამს, მორესმო ტურნირს თუ მოიგებს, ეს ჩემი სეფეჩოგანი ალალ მისიო. მაგრამ ჩვენ ისევ შევახსენებთ, რომ რეიტინგსიის სათავეში მოსაქცევად მორესმოს ტურნირის მოგება საერთოდაც აღარ სჭირდება. ოღონდ სანამ მასზე კიდევ ორიოდ სიტყვას მოგახსენებდეთ, ჯერ დევენპორტისა მოვამთავროთ. ალბათ თქვენც გეხსომებათ, ამ 28 წლის ამერიკელმა ადრეზაფხულისას თქვა, წლის ბოლოს ჩოგანი უნდა ჩამოვკიდოო, მაგრამ მას შემდეგ ისე მძლავრად ათამაშდა, რომ კარიერაში მეორედ კალიფორნიული ჰეთთრიქიც მიითვალა და ამ ერთი თვის წინ ამქრის კენწეროშიც შესკუპდა. ახლა ის წასვლაზე უკვე აღარ საუბრობს. მხოლოდ იმასღა ამბობს, კარგი იქნებოდა სეზონი პირველოსნადვე რომ დამემთავრებინა, თუმცა რაც უნდა მოხდეს, მაინც კარგი წელი იყოო. არც გაემტყუნება, რაკილა მრავალტრავმაგადატანილი, ის წლეულს მართლაც სასწაულებრივ აღზევდა და კიდევ ერთხელ ცხადყო, ჩვეულებრივი, მყისვე დასავიწყებელი მეჩოგნე რომ არ არის.

რაც შეეხება მორესმოს, მან ამ ტურნირის მსვლელობისას ნორჩ რუსგოგოთა სამაია ისე შემუსრა, ერთი სეტი არ დაუთმია და ეს ისე კოხტად, ისე მრავალფეროვნად, ისე თავდაჯერებულად გააკეთა, მისი ხილვა ერთ რამედ ღირდა. თავი მოსკოვში მგონიაო, იძახდა ის შარაპოვასთან მოგების შემდეგ, ამ კვირის მოსკოვი ლოს ანჯელესიაო... სხვაფრივ, თუკი ამ მოგებებს წინისწინა კვირაში ფილადელფიაში, ხოლო იმის წინა კვირაში ლინცში მოგებულ შეხვედრებს მივუჯამებთ, გამოვა, რომ ამ სტრიქონების წერისას მორესმოს ზედიზედ უკვე 11 მატჩი აქვს მოგებული. მეთორმეტის ბედი კი, როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, მისი და მამა რიჩის უმცროსი გოგოს დაკა-დაკაში უნდა გარკვეულიყო. მეორე ნახევარფინალში ანასტასია მისკინა მარია შარაპოვას უნდა რკენოდა.

**ლევან ძელაურაძე**



REUTERS ლოს ანჯელესიდან

მარია შარაპოვა: ნახევარფინალში ვარ!



შაბათის სარბიელში ვწერდით, დღეს ჩასატარებელი ტესტ-მატჩებიდან განსაკუთრებით საინტერესო საფრანგეთ – ავსტრალიის თამაშიაო, მაგრამ ისე გამოვიდა, რომ ევროპელმა მაყურებელმა ორი დიდი შეხლა იხილა

13 ნოემბერი. დუბლინი

**ირლანდია 17:12 სამხრეთ აფრიკა**

**ირლანდია:** 15 გირვან დემფსი, 14 გორდან მერფი, 13 ბრაიან ოდრისკოლი (კაპ), 12 შეინ ჰორგანი, 11 დენის ჰიკი; 10 რონან ოგარა, 9 პიტერ სტრინგერი; 8 ენტონი ფოლი, 7 ჯონი ოკონორი (ერიკ მილერი), 6 საიმონ ისტერბი, 5 პოლ ოკონელი, 4 მალკოლმ ოკელი, 3 ჯონ ჰეიესი, 2 შენ ბირნი, 1 რეჯი კორიგანი (მარკუს ჰორანი)

*1 ლელო: ოგარა*

*3 საჯარიმო: ოგარა; 1 არეკნით: ოგარა*

**სამხრეთ აფრიკა:** 15 პერსი მონტგომერი, 14 ბრეიტონ პოლსი, 13 მარიუს ჟუბერი, 12 დე ვეტ ბერი, 11 ეშვინ ვილემსე; 10 იაკო ფან დერ ვესტჰოიზენი, 9 ფური დუ პრეეცი; 8 ჯო ფან ნიკერკი, 7 ეიჯეი ვენტერი, 6 შალკ ბურგერი (გერი ბრიცი), 5 ვიქტორ მეტფილდი, 4 ბაკიზ გოთა, 3 ედი ენდრიუზი (სიჯეი ფან დერ ლინდე), 2 ჯონ სმიტი (კაპ), 1 ოზ დუ რანტი

*4 საჯარიმო: მონტგომერი*

„ლენსდაუნ როუდზე“ ირლანდიელებმა სამხრეთაფრიკელებს უმასპინძლეს და 17:12 სძლიეს. მატჩის ბედი ერთადერთმა ლელომ გადაწყვიტა, რომელიც კუნძულელებმა საკამათო ეპიზოდში გაიტანეს, თუმცა ეს გამარჯვება მათზე მაინც ალალია.

ბოლოდროინდელმა წარმატებებმა, როგორც ჩანს, „ქურციკებს“ თავბრუ დაახვია და რეალობის შეგრძნება დაკარგვინა. „დიდი სლემის ტურნეს“ მოსაგებად ევროპაში ჩასული აფრიკელთა თავკაცს ჯეიკ ვაითს, ეტყობა, წარმატებები თავში აუვარდა და მატჩამდე მეტოქე საკმაოდ არაკორექტულად მოიხსენია — მთელს ირლანდიაში მხოლოდ სამიოდ მორაგბე თუ მოიძებნება, რომელსაც ჩემს გუნდში თამაშის ღირსად ჩავთვლიდიო. ნამატჩევს კი „ქურციკთა“ მწყემსს თავისი სიტყვების უკან წაღება მოუხდა — ჟურნალისტებმა ჩემი ნათქვამი არასწორედ გაიგეს, სხვა რამეს ვგულისხმობდიო, მაგრამ ამით საქმეს რაღას უშველიდა, დიდი სლემი უკან დარჩა და ბაქია კაცის სახელიც გაუვარდა.



REUTERS დუბლინიდან

ბრაიან ოდრისკოლის ირლანდიამ ატრაბახებული სამხრეთ აფრიკა დაადუმა

# ვინ რას გაგატანს დიდი სლემი არა...

რონან ოგარამ, რომელიც ვაითს იმ „ღირსეულთა“ სამკაციან სიაში არ მოუხსენებია, ქურციკებს ლელოც გაუტანა, არეკნიც, ზედ ზესაჯარიმოც მიაყოლა და სამხრეთელებს „დიდ სლემზე“ ხელიც ჩააქნევინა.

ანგარიში კი მართლაც კურიოზულად გაიხსნა. მე-20 წუთზე მსაჯმა „ქურციკები“ უკვე მეექვსედ რომ დააჯარიმა, იფიქრა, ამათ ნამეტანი მოსდით უხეშობაო და აფრიკელთა კაპიტან ჯონ სმიტს სთხოვა, შენიანები როგორმე დააშოშმინეო. სმიტი გუნდელებს ელაპარაკა და აფრიკელებიც მოედანს დაუბრუნდნენ, თუმცა კაპიტანი ჯერ კიდევ ზურგით იყო მეტოქისკენ მობრუნებული და თავისიანებს ბოლო დარიგებებს აძლევდა. ამ დროს მსაჯმა ჩასტვინა, ირლანდიელებმა ბურთი გაათამაშეს და ოგარამ ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დაამიწა. მსაჯმა ლელო ჩათვალა და მასპინძლები 5:0 დაწინაურდნენ. 5 წუთის შემდეგ მონტგომერიმ საჯარიმო დარტყმით სხვაობა შეამცირა, თუმცა 33 წუთზე იმავ ოგარამ არეკნით სტატუს-კვო აღადგინა.

მეორე ტაიმში „ქურციკების“ დამრტყმელმა პერსი მონტგომერიმ მასპინძლებს სამი საჯარიმო გაუტანა, ეგ იყო და ეგ. საბოლოოდ ირლანდიელებმა აფრიკელები ბოლო 40 წელიწადში პირველად, ისტორიაში კი მეორედ დასცეს და უზომოდაც გაიხარეს.

„მატჩამდე ჩვენს გასახდელში რომ შემოგეხედათ, თავი სამშობლოს დასაცავად მიმავალ ჯარისკაცთა ბანაკში გეგონებოდათ. ბედნიერი ვარ, რომ მოედანზე ამ განწყობის გადატანა შევძელით. ჰიმნის მოსმენისას მხოლოდ გამარჯვებაზე ვფიქრობდით“ — ამბობდა ნამატჩევს ირლანდიელთა გოლიათი მორკინალი მალკოლმ ოკელი, რომელმაც სამშობლოც დაიცვა და საკუთარი ღირსებაც.

ჯეიკ ვაითს კი ისღა დარჩენოდა, ეთქვა, ჩემი ნება რომ იყოს, ნაკრებში თხუთმეტივე ირლანდიელს გამოვიძახებდიო.

ვინ გაატანს, თორემ კი...

**ლადო ფულუკიძე**

13 ნოემბერი. პარიზი

**საფრანგეთი 27:14 ავსტრალია**

**საფრანგეთი:** 15 ნიკოლა ბრუსკე, 14 ორელინ რუჟერი, 13 ტონი მარში, 12 იანიკ ჟოზიონი, 11 სედრიკ ჰეიმანსი (კრისტოფ დომინისი); 10 ფრედერიკ მიშალაკი, 9 ჟან-ბატისტ ელისალდე; 8 იმანოლ არინორდოკი, 7 ოლივიე მანი (ჟულიენ ბონარი), 6 სერჟ ბესენი, 5 ჟერომ თიონი, 4 ფაბიენ პელუ (კაპ), 3 სილვიან მარკონე, 2 უილიამ სერვა (სებასტიენ ბრუნო), 1 ოლივიე მილუ

*2 ლელო: ბრუსკე, მიშალაკი; 1 გარდასახვა: ელისალდე; 5 საჯარიმო: ელისალდე*

**ავსტრალია:** 15 კრის ლათამი (მეტ როჯერსი), 14 კლაიდ რეთბოუნი (ვენდელ სეილორი), 13 სტირლინგ მორტლოკი, 12 მეტ ჟიტო (ელტონ ფლეტლი), 11 ლოუთ ტუკირი; 10 სტივენ ლარქემი, 9 ჯორჯ გრეგანი (კაპ); 8 ჯონ რო, 7 ფილ ვუ (დევიდ ლაიონზი), 6 ჯორჯ სმიტი, 5 დანიელ ვიკერმანი, 4 ჯასტინ ჰარისონი, 3 ალ ბაქსტერი, 2 ჯერემი პოლი, 1 ბილ იანგი (მეტ დანინგი)

*1 ლელო: გრეგანი; 3 საჯარიმო: ჟიტო (2), ფლეტლი*

13 ნოემბერი. თვიქნემი

**ინგლისი 70:0 კანადა**

*ინგლისი: 12 ლელო: რობინსონი (3), ლიუსი (2), კოენი (2), ტინდალი, ჰოჯსონი, გრიუკოკი, მუდი, ვოისი; 5 გარდასახვა: ჰოჯსონი (2), ჰოლი (3)*

13 ნოემბერი. რომი

**იტალია 10:59 ახალი ზელანდია**

*იტალია: 1 ლელო: ბერგამასკო; 1 გარდასახვა: ვაკარო; 1 საჯარიმო: ვაკარო*

*ახალი ზელანდია: 9 ლელო: უმაგა (2), მულიაინა (2), მაკოუ (2), კარტერი, ტუიტუპუ, სმიტი; 7 გარდასახვა: კარტერი*

13 ნოემბერი. პერთი

**შოტლანდია 100:8 იაპონია**

*შოტლანდია: 15 ლელო: პატერსონი (3), რასელი (2), საუთველი (2), პეტრი, ჰოგი, მაკენზი, ლამონტი, პარკსი, ბლერი, მორისონი, ჰენდერსონი; 11 გარდასახვა: პატერსონი; 1 საჯარიმო: პატერსონი*

*იაპონია: 1 ლელო: დაიმონი; 1 საჯარიმო: სავაკი*

„პარკ დე პრენსზე“ ფრანგებისა და ავსტრალიელების ჯახი მოლოდინისამებრ თვალსაყირო გამოდგა, განსაკუთრებით კი პირველი ტაიმი, სადაც მაყურებელმა 3 ერთმანეთზე უკეთესი ლელო და მოედნის ყოველი მეტრისათვის თავდაუზოგავი ბრძოლა იხილა. სტუმარ-მასპინძელმა პუბლიკას არც მეორე ნახევარში მოაკლო ლამაზი სანახაობა, მიუხედავად იმისა, რომ ლელო აღარ გასულა.

ბოლო წლებში ამ ბობოლათა ჯახში ძირითადად ავსტრალია მძლავრობდა, მაგრამ ამ შაბათს „მამლები“ უფრო აქოჩრილიყვნენ და საბოლოოდ დამსახურებულადაც იმარჯვეს, შედეგად წაუგებელი სერია რვამდე გააგრძელეს და 1998 წელს დამყარებული პირადი რეკორდი გაიმეორეს.

ერთ კვირაში ფრანგები მარსელში არგენტინელებს დაუხვდებიან და თუ მოიგეს, ახალ რეკორდსაც გამოაცხობენ. თუმცა სერიის 10-მატჩიან ნიშნულამდე გაზრდა მაინც გაუჭირდებათ, რადგან არგენტინის შემდეგ, ისევ „პარკ დე პრენსზე“ ბრუნდებიან და ახლა მრისხანე ახალი ზელანდიის მიღება მოუწევთ.

ავსტრალია კი შოტლანდიას მიემგზავრება, სადაც კიდევ ერთხელ ეცდება სქოთთა დაჯაბნას. შეგახსენებთ, წინა კვირას „ვოლაბებმა“ 31:14 იმარჯვეს შოტლანდიაში.

თავად სქოთებმა კი შაბათს იაპონელები მიიღეს და ისეთი დღე აწიეს, მტერს არ უსურვებს კაცი. მარტო კრის პატერსონმა 40 ქულა მოუტანა თავის გუნდს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

WRC მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში
XVI ეტაპი ავსტრალია

# ფრანგულიანი ფრანგი ჩემპიონი

**კლასიკური** რალის სეზონი პირველად დასრულდა ავსტრალიური ეტაპით. მანამდე დასკვნით რბოლას ტრადიციულად უელსის მთავარქალაქი კარდიფი მასპინძლობდა.

მწვანე კონტინენტის რიგით მე-17 რალის წინ ორივე ჩათვლაში გამარჯვებული ცნობილი იყო. გასარკვევი რჩებოდა ვიცე-ჩემპიონის ვინაობა, თუმც ეს ინტრიგაც დასაწყისშივე გამოირიცხა. წინა ორი ეტაპის მომგები მარკო მარტინი შარშანდელ ჩემპიონ პეტერ სოლბერგს მხოლოდ სამი ქულით ჩამორჩებოდა და, ცხადია, დიდ გულზეც იყო, მაგრამ პირველივე ჩასათვლელ უბანზე მისი „ფორდის“ ძრავას ერთი ცილინდრი მოეშალა და ზეთი გაუვიდა. მექანიკოსებს სულ ათი წუთი ჰქონდათ ძრავის ჭკუაზე მოსაყვანად და აბა, რას მოასწრებდნენ.

არ გაუმართლა სოლბერგსაც. ჯერ იყო და, ვარჯიშზე ავარია შეემთხვა, რბოლაში კი უმცირესი შეცდომა ძვირად დაუჯდა — „სუბარუ“ გზისპირა ბუჩქნარში შევარდა და ბარაქიან ლოღს მიეხეთქა. მეორე დღისთვის მანქანა შეაკეთეს და ნორვეგიელმაც რბოლა გააგრძელა, თუმც უკონკურსოდ. ცნობისთვის, ექსჩემპიონმა ნაავარიები ბედაურით 16-დან ცხრა ჩქაროსნულ მონაკვეთზე ყველას აჯობა.

სულ სარბოლო სამდღიურში ეკიპაჟებს ქალაქ პერთის შემოგარენში 1426 კილომეტრი უნდა გაევლოთ, აქედან 388 ჩასათვლელ უბნებზე მოდიოდა. ვიწრო და მიწიან, სრიალა გზებზე მძღოლებს მანევრირება უჭირდათ და მცირე უზუსტობაც პრობლემებს უქმნიდათ — ორმოცამდე ეკიპაჟი გამოეთიშა ბრძოლას.

ყველაზე ყოჩაღად ბოლო სამი ავსტრალიური რალის მომგებმა მარკუს გრონჰოლმმა დაიწყო, ხუთ სპეცმონაკვეთზე საუკეთესო იყო და პირველი დღის შემდეგ 21 წამით უსწრებდა ვადამდე ტიტულგანადიდებულ სებასტიენ ლოებს, მაგრამ შაბათ დილას ისიც შეცდა, „პეჟო“ ხეს შეასკდა და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ფინელი ექვსგამოთიშვიან სეზონში მხოლოდ მეხუთე ადგილზე დარჩა.

აქვე კიდევ ერთ ორგზის ტრიუმფატორ კარლოს საინსზე: 42 წლის მადრიდელ „მატადორს“ ექიმებმა ვარჯიშისას ავარიაში კისრის დაშავების გამო კატეგორიულად აუკრძალეს რბოლაში მონაწილეობა. „მეფე“ კარლოსი თავისი „სიტროენით“ სიმბოლურად გავიდა სტარტზე და მაყურებლებს მიესალმა. უფრო ზუსტად კი, დაემშვიდობა და ასე სევდიანად დასრულდა მისთვის 18-წლიანი ბრწყინვალე კარიერა.

გრონჰოლმის შემდეგ ლოები გალიდერდა და რაკი უმთავრესი მეტოქეები აღარ აწუხებდნენ, წლეულს მეექვსე დიდი პრიზის მოპოვება არ გასჭირვებია. მართალია, არც ფრანგ პილოტს და მის მონაკოელ თანამძღოლ დანიელ ელენას ურბოლიათ უნაკლოდ, მაგრამ სხვები უფრო მეტად ცდებოდნენ.

30 წლის სებასტიენ ლოები მეორე ფრანგი მსოფლიოს ჩემპიონია დიდი დიდიე ორიოლის შემდეგ, თანაც ტიტული ფრანგული „სიტროენით“ მოიპოვა. სეზონში ექვსი მოგებაც ორიოლის ათი წლის წინანდელი რეკორდის გამეორებაა. სები კიდევ ექვსჯერ შედგა პოდიუმის მეორე საფეხურზე, 16 რბოლაში მხოლოდ ორჯერ ვერ მივიდა ფინიშამდე და სარეკორდოდ ბევრი, 118 ქულაც დააგროვა.

ლოები 1974 წლის 26 თებერვალს დაიბადა [illegible]ში. ჯერჯერობით უცოლოა. რალიში 1999 წლიდან [illegible] 55-ჯერ გავიდა სტარტზე, ათი რბოლა მოიგო და კიდევ 13-ჯერ იყო საპრიზო სამეულში. შარშანაც „სიტროენ-ქსარათი“ დაქროდა და სამი დიდი პრიზითა და 71 ქულით ვიცე-ჩემპიონი გახდა პირველი ნორვეგიელი ტრიუმფატორის პეტერ სოლბერგის შემდეგ.

**გია ახალაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**რბოლის შედეგები**

| | | |
|---|---|---|
| 1 | სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, სიტროენი) | 3 სთ; 39.46,8 |
| 2 | ჰარი როვანპერა (ფინეთი, პეჟო) | ჩამორჩა 1.55,1 |
| 3 | ფრანსუა დიუვალი (ბელგია, ფორდი) | 3.40,2 |
| 4 | მიკო ჰირვონენი (ფინეთი, სუბარუ) | 6.00,4 |
| 5 | კრის ატკინსონი (ავსტრალია, სუბარუ) | 16.55,6 |
| 6 | ხავიერ პონსი (ესპანეთი, მიცუბისი) | 17.36,1 |
| 7 | კოდი კროკერი (ავსტრალია, სუბარუ) | 17.43,3 |
| 8 | ტოსიჰირო არაი (იაპონია, სუბარუ) | 19.32,3 |

**საერთო ჩათვლა**

1 სებასტიენ ლოები 118 ქულა; 2 პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, სუბარუ) 82; 3 მარკო მარტინი (ესტონეთი, ფორდი) 79; 4 კარლოს საინსი (ესპანეთი, სიტროენი) 73; 5 მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, პეჟო) 62; 6 ფრანსუა დიუვალი 53; 7 მიკო ჰირვონენი 29; 8 ჰარი როვანპერა 28; 9 იანე ტუოინო (ფინეთი, ფორდი) 16; 10 ფრედი ლოა (ბელგია, პეჟო) 9

**კონსტრუქტორთა თასი**

სიტროენი 194 ქულა, ფორდი 143, სუბარუ 122, პეჟო 101, მიცუბისი 17

**ყველა ჩემპიონი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1979 | ბიორნ ვალდეგაარდი | შვედეთი | ფორდი |
| 1980 | ვალტერ რორლი | გერმანია | ფიატი |
| 1981 | არი ვატანენი | ფინეთი | ფორდი |
| 1982 | ვალტერ რორლი | გერმანია | ოპელი |
| 1983 | ჰანუ მიკოლა | ფინეთი | აუდი |
| 1984 | სტიგ ბლომკვისტი | შვედეთი | აუდი |
| 1985 | ტიმო სალონენი | ფინეთი | პეჟო |
| 1986 | იუჰა კანკუნენი | ფინეთი | პეჟო |
| 1987 | იუჰა კანკუნენი | ფინეთი | ლანჩა |
| 1988 | მასიმო ბიასონი | იტალია | ლანჩა |
| 1989 | მასიმო ბიასონი | იტალია | ლანჩა |
| 1990 | კარლოს საინსი | ესპანეთი | ტოიოტა |
| 1991 | იუჰა კანკუნენი | ფინეთი | ლანჩა |
| 1992 | კარლოს საინსი | ესპანეთი | ტოიოტა |
| 1993 | იუჰა კანკუნენი | ფინეთი | ტოიოტა |
| 1994 | დიდიე ორიოლი | საფრანგეთი | ტოიოტა |
| 1995 | კოლინ მაკრეი | დიდი ბრიტანეთი | სუბარუ |
| 1996 | ტომი მაკინენი | ფინეთი | მიცუბისი |
| 1997 | ტომი მაკინენი | ფინეთი | მიცუბისი |
| 1998 | ტომი მაკინენი | ფინეთი | მიცუბისი |
| 1999 | ტომი მაკინენი | ფინეთი | მიცუბისი |
| 2000 | მარკუს გრონჰოლმი | ფინეთი | პეჟო |
| 2001 | რიჩარდ ბარნსი | დიდი ბრიტანეთი | სუბარუ |
| 2002 | მარკუს გრონჰოლმი | ფინეთი | პეჟო |
| 2003 | პეტერ სოლბერგი | ნორვეგია | სუბარუ |
| 2004 | სებასტიენ ლოები | საფრანგეთი | სიტროენი |




REUTERS

წლევანდელი სეზონის გმირები: სებასტიენ ლოები, დანიელ ელენა და მთელი „სიტროენი“



# ოთხი რვიანი საპეკინოდ

**ჩინელებისთვის** განსაკუთრებით ბედნიერი რიცხვია „8“. ბედნიერი დამთხვევის წყალობით, ისინი პეკინში სწორედ 2008 წელს უმასპინძლებენ ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს. მასთან დაკავშირებული სხვა რვიანები კი ჩინელებმა უკვე ხელოვნურად მიიღეს. მაგალითად, ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალი დაიწყება 2008 წლის 8 აგვისტოს საღამოს 8 საათსა და 8 წუთზე. ამ თარიღში ერთბაშად ოთხი რვიანი გარემოებების გამო აღმოჩნდა.

საქმე ისაა, რომ პეკინის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებმა ამით აიცილეს კონფლიქტი ამერიკელ კოლეგებთან, რომლებიც თავიანთი ქვეყნის ღია საჩოგბურთო ტურნირის და საბეისბოლო ლიგა MLB-ის ინტერესებს იცავდნენ.

თავდაპირველად ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალი აგვისტოს ბოლოს იგეგმებოდა, მაგრამ ამერიკელები ამის კატეგორიული წინააღმდეგები აღმოჩნდნენ, რადგან სწორედ იმ დროს ტარდება ბეისბოლისტთა და ჩოგბურთელთა ტურნირები. ამიტომაც ჩინელები იძულებული გახდნენ, თამაშები უფრო გვიან გაეხსნათ, მაგრამ ზოგი ჭირი მარგებელიაო და ამით მათ საოლიმპიადოდ თავიანთი ბედნიერი რიცხვები მოიმრავლეს.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



# იანგი სამუდამოდ მოკვეთეს

**დოპინგის** მიღებაში მხილებულ მძლეოსნებს რამდენიმეწლიანი დისკვალიფიკაციით სჯიან, მაგრამ ამერიკელ ჯერომ იანგს, რომელიც აკრძალული პრეპარატების ხმარებაში მეორედ ამხილეს, აქამდე ყოველივე ხახვივით შერჩა. ჯერ იყო და 1999 წელს, როცა 28 წლისა იყო, ანალიზებში ანაბოლიური სტეროიდი ნანდროლონი აღმოუჩინეს, მაგრამ იგი სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე 4X400 მეტრზე თანაგუნდელებს მაინც დაეხმარა ჩემპიონობაში, როცა წინასწარ შეჯიბრებებში გაირბინა.

და ამ დროს ლოზანაში სპორტული არბიტრაჟი საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს რეკომენდაციებს აძლევდა, რათა იანგისთვის და ესტაფეტაში მისი თანაგუნდელებისთვის ის ოქროს მედალი ჩამოერთმიათ, მაგრამ მისი ვერდიქტი ყურად არავინ იღო. მას მერე იანგი 400 მეტრზე რბენაში მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა, მაგრამ შარშან პარიზში გამართულ ჩემპიონატზე დოპინგტესტზე კვლავ ჩავარდა. ამჯერად იგი ერიტროპოეტინის ხმარებაში ამხილეს, თუმცა ამ ხათაბალიდან კვლავ მშრალი ამოვიდა.

ბოლოსდაბოლოს, ახლა იანგი მაინც მკაცრად დასაჯეს და სამუდამო დისკვალიფიკაცია „გამოუწერეს“.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



REUTERS

# ჩინეთის თასზე

ფიგურული სრიალის ჩინეთის თასი მსოფლიო დიდი პრიზის ერთ-ერთი ტურია და უკვე გვარიანად პოპულარულიც. პეკინში მიმდინარე შეჯიბრზე 17 ქვეყნის 50 მოციგურავე ჩასულა. ესენი რუსები არიან, ოქსანა დამანინა და მაქსიმ შაბალინი: თავისუფალ ცეკვას ასრულებენ.



REUTERS

# ლენოქსი და პოპი

მოიცალა ამ კაცმა და რას იზამ? კრივიდან გადამდგარი ლენოქს ლუისი ბრიტანეთში პირველ მუსიკის დიდების დარბაზის გახსნაზე მისულა. ამბავი ლონდონში, „ჰექნი ემფაიერში" ყოფილა და პოპულარული მუსიკის ნახევარსაუკუნოვან არსებობას მიძღვნია.

# გოლეო, პელეო და ლაპარაკიო

ეს ლომი 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ოფიციალური თილისმაა და გოლეო VI ჰქვია. იმ ბურთს, ხელში რომ უჭირავს „მოლაპარაკე პილეს" ეძახიან, ნამდვილი პელე კი იქავე დგას. რაც შეეხება კაიზერ ფრანცს, მას მსოფლიო თასი უპყრია. მოკლედ, გერმანია სამასპინძლოდ ემზადება.



REUTERS



REUTERS

# კლინსმანი კიბოს წინააღმდეგ

*იურგენ კლინსმანს კიბოს საწინააღმდეგო აქციაში მიუღია მონაწილეობა. ლაიპციგში კიბოს ცენტრში მისულა სხვა კეთილისმსურველებთან ერთად და სიტყვით და თანხით გაუმხნევებია პაციენტები და კლინიკა.*

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოვრაშვილი, ზვიად პოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქანქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge